საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-პარასკევი, 7-8 იანვარი. 2021 წ. №3-4 (9122-9123) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ჩემო მაცხოვარო, გთხოვ, რომ დაიფარო შენთვის წამებული შენი საქართველო!

გილოცავთ ქრისტეშობას!

ჩემო მაცხოვარო, ჩემო საგულევ და
ჩემო უწმინდესო, გზაო სანუკვარო,
ჩემი უბადრუკი სული მაწუხებს და
მსურს, რომ შემოგწირო, ჩემო მაცხოვარო!..

ჩემო მაცხოვარო, სისხლად გამოხსნილი,
შვილი შენი მოველ, ჩემდა შესანდობრად,
მინდა, ცრემლი ვიყო, ჯვრიდან გადმოღვრილი,
კოცნით ამოგივსო, ღმერთო, ეგ ჭრილობა...

ჩემო მაცხოვარო, ჩემო ცრემლიანო,
ჩემო სისხლიანო, მამავზეციურო,
მსურს, რომ სიყვარულში ისევ დავივანო,
სულში მოგეხვიო, გულში გეზიარო.

ჩემო მაცხოვარო, ცრემლით დაცემული
შვილი შენი მოველ, ჩემო სანატრელო,
შეგთხოვ, დაიფარე შენთვის წამებული,
შენი ურჩი შვილი, შენი საქართველო!

ჩემო მაცხოვარო, ჩემს გულს ატკიებულს
სურს. რომ ცრემლებიდან
სულ მთლად დაიღვაროს,
მერე, როგორც შვილი, მამას მონატრებულს.
ყელზე მოგეხვიო, ჩემო მაცხოვარო.

მინდა, იოსები ვიყო გადმომხსნელი,
გულში ჩაგიკრა და გითხრა, მიყვარხარო...
ჩემო მაცხოვარო, ჩემო სიტკბოებავ,
ჩემო ერთადერთო, გზაო სანუკვარო!..

მამა თეიმურაზ ქორიძე.
საგარეჯოს რაიონის სოფელ დიდი ჩაილურის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი.

ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო ორდენის კავალერია!

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის 2020 წლის 31 დეკემბრის განკარგულებით, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის ტიტული მიენიჭა. საფრანგეთის პრეზიდენტის განკარგულებაში მითითებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი და საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრია.

ფრანსუა პინო: ეს პრესტიჟული წოდება აგვირგვინებს თქვენს სამაგალითო კარიერას!



ფრანგი მეცენატი, ფრანსუა პინო ბიძინა ივანიშვილს საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის ტიტულის მინიჭებას ულოცავს. „დიდი სიამოვნებით შევიტყვე თქვენთვის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის ტიტულის მინიჭების ამბავი. გულწრფელად მოხარული ვარ და გულითად მოლოცვას გიგზავნით. ეს პრესტიჟული წოდება აგვირგვინებს თქვენს სამაგალითო კარიერას, დემოკრატიისადმი თქვენი სამოქალაქო ერთგულების ხარისხს და, რა თქმა უნდა, საფრანგეთისადმი სიყვარულს“, — ნათქვამია ფრანსუა პინოს მისალოც წერილში.

ჭკვიანი მტრის ზრახვები...

აფხაზეთი – მოწყალების ფასად

8

უცხოეთშიც – საქართველოსთან ერთად

ქართველი სამართალმცოდნის ევროპული სიმაღლე

5

გიორგი გახარია: პირველი საკანონმდებლო ინიციატივის დამტკიცება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნების განმტკიცებასაც ადასტურებს!

ახალი მოწვევის პარლამენტში პირველი საკანონმდებლო ინიციატივის დამტკიცება არის კიდეც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნების განმტკიცება, — ამის შესახებ გიორგი გახარია სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

როგორც პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, საქართველო 2024 წლისთვის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის ოფიციალური განაცხადის წარდგენისთვის ემზადება

— დიახ, ახალი მოწვევის პარლამენტში პირველი საკანონმდებლო ინიციატივის დამტკიცება არის კიდეც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნების განმტკიცება. ჩვენ საქართველოს დეოკუპაციისკენ და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენისკენ ვისწრაფვით და ამავდროულად ვაგრძელებთ შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებას. საქართველო 2024 წლისთვის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის ოფიციალური განაცხადის წარდგენისთვის ემზადება“, — აღნიშნავს გიორგი გახარია.

დავით ზალკალიანი: ჩვენ უკვე უნდა დავიწყოთ მოქმედება, როგორც ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ!

უკვე **უნდა დავიწყოთ მოქმედება, როგორც ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ და ევროკავშირს დავანახოთ ჩვენი მიმზიდველობა და ფუნქცია,** — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა „ქრონიკაში“ განაცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტის პირველი რეზოლუცია სწორედ საგარეო ურთიერთობებს ეხება და საგარეო პოლიტიკის ძირითად სტრატეგიულ კურსთან არის სრულ თანხვედრაში.

„ეს არის, რა თქმა უნდა, გზავნილი ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის და ასევე ქვეყნის შიდა კონსოლიდაციისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი. ის ამბიციური გეგმები, რომლებიც ამ რეზოლუციაშია და ჩვენი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს. ამ გეგმების შესასრულებლად აუცილებელია მთლიანად ქვეყნის შიგნით კონსოლიდაცია. მუშაობა უკვე დღეიდანაა დასაწყები, რომ ის ამოცანები, იგივე ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით, ასოცირების დღის წესრიგის შესრულება, ასევე 2021-2027 წლის გეგმის შესრულება, ჩვენ, ფაქტობრივად, უკვე უნდა დავიწყოთ მოქმედება, როგორც ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ. ევროკავშირს უნდა დავანახოთ ჩვენი მიმზიდველობა და ფუნქცია“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

ნიკოლოზ სამხარაძე: ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილი ემიჯნება დესტრუქციულ სცენარს!

ჩვენ **რეალურად პარლამენტში ველოდებით ყველა იმ პარტიას, ვისაც არ სურს დესტრუქციულ სცენარში მონაწილეობა,** — ამის შესახებ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სამხარაძემ „ქრონიკას“ განუცხადა.

„შესაბამისად, ბევრი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი უკვე ამბობს, რომ მათთვის მთავარია შეთანხმების მიღწევა, რადგან ასეთი კომპრომისის მზაობა უკვე გამოჩნდა ოპოზიციური ძალებიდან. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ პარტიების უდიდესი უმრავლესობა შემოვა პარლამენტში. აქ მთავარია მზაობა ოპოზიციური პარტიებიდან. უკანასკნელმა განცხადებებმა აჩვენა, რომ ჯანსაღი ნაწილი ემიჯნება დესტრუქციულ სცენარს და შესაბამისად, მათ ველოდებით პარლამენტში“, — განაცხადა სამხარაძემ.

გუშინ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ უმრავლესობა რამდენიმე პარტიას პარლამენტში ელოდება. ამ ეტაპზე უცნობია, როდის გაიმართება მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი.

მილოცვა პატრიარქსა და სრულიად საქართველოს!

ათ თვეზე მეტია, კორონავირუსის გავრცელების გამო მთელი მსოფლიო განსაცდელშია. ამის მიუხედავად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს დაბადების 88-ე წელი საყოველთაო დღესასწაულად იქცა. აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“ ულოცავს პატრიარქს და სრულიად საქართველოს ამ იუბილეს, ერის სულიერ მამას დღეგრძელობა-დღემზეობას უსურვებს. უწმინდესისა და უნეტარესის დამოძღვრით, ერთმანეთისადმი ქრისტესმიერი სიყვარულით და ერთმანეთზე ზრუნვით ქართველი ერი, უდავოდ, დაძლევს ყოველგვარ გამოწვევას და სამშვიდობოს გავა.

დღეს შობაა ჩვენი უფლისა — იესო ქრისტესი. მჯერა, რომ სწორედ ღმერთის მეოხებით შეძლებს მთელი მსოფლიო, მათ შორის — ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყანა ამ მძიმე განსაცდელისგან თავის დაღწევას.

ვისარგებლებ შემთხვევით და სრულიად საქართველოს, ჩვენს საყვარელ კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შობა-ახალ წელს მივულოცავ, თითოეულ ოჯახს ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას, საქართველოს სახელოვან სპორტსმენებს კი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებებს ვუსურვებ!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

უფლის სყვარულით გავაძლიეროთ დედასამშობლო და ერთმანეთი!

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო



ალიანს „არიერგარდის“ სახელით

გურამ სალარაძე,

ალიანსის თავმჯდომარე, ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის სტიქაროსანი

თბილისი მოსკოვს უპასუხებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ვიდრე რუსეთის ფედერაციას ოკუპირებული აქვს საქართველოს რეგიონები, ვიდრე მისი მხრიდან არ მოხდება 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელშეკრულების სრულად შეთანხმება, მანამდე რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი, დღის წესრიგში ვერ დადგება.

„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი, ბუნებრივია, დღის წესრიგში ვერ დადგება მანამდე, ვიდრე რუსეთის ფედერაციას ოკუპირებული აქვს საქართველოს რეგიონები. კერძოდ, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. მანამ, ვიდრე არ მოხდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღნიშნული ტერიტორიების დეოკუპაცია, ასევე 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელშეკრულების სრულად შესრულება, ბუნებრივია, ნებისმიერი სახის ე.წ. შეთანხმება, მათ შორის ე.წ. საზღვართან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება, რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალისა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმებს შორის დაიდოს, იქნება მოკლებული ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, იქნება უკანონო და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იქნება შეფერხებული, როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების მორიგი ძალისმიერი მეთოდებით შეცვლის მცდელობა“, — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

უწყება მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებები და მოახდინოს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია.

რუსული მედიის ინფორმაციით, დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხებში რუსეთის სპეციალურ წარმომადგენელს, მიხაილ პეტრაკოვს დაევალა რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პასუხისმგებლობა აფხაზეთთან, საქართველოსთან და სამხრეთ ოსეთთან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეწყვეტილია. ერთადერთი ორმხრივი ფორმატი, აბაშიძე—კარასინის მოლაპარაკებების ფორმატია, რომელიც ოფიციალურად ჰუმანიტარულ საკითხებს ეძღვნება. რომელი არხის გამოყენებას შეეცდება ახალი ელჩი თბილისთან კომუნიკაციის დასამყარებლად, ამ ეტაპზე უცნობია.

ირაკლი ლატარია: შეგიძლიათ, შემახსენოთ ისეთი ხელისუფლება, რომლის დროსაც ამდენ ადამიანს გადაეცა საცხოვრებელი?

„ჩემთვის პირადად არცერთი ხელისუფლება არ ჩაითვლება წარმატებულად, სანამ იარსებებს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, მაგრამ საქართველოს ისტორიაში პირველად გვყავს ისეთი მთავრობა, რომლის დროსაც თითოელი ადამიანის კეთილდღეობა, განვითარება, ჯანმრთელობა არის უმთავრესი“, — ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლატარია „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს.

„შეგიძლიათ მანახოთ ოჯახი, რომელიც 2012 წლის შემდეგ გაღატაკდა და არის მშიერი?

იცით, რატომ ვკითხულობ ამ ყველაფერს? რამდენიმე ტელევიზიის ბოლო პერიოდის გადაცემებს ვაკვირდები და ყოველი საღამო არის შავი, ბნელი თემებით მოცული.

როგორ შეიძლება ადამიანმა ნახო სიუჟეტი, სადაც საუბარია შიმშილზე, სიღატაკეზე და ცუდად არ გახდე? გასაგებია, რომ იყო, არის და იქნება ოჯახი, რომელსაც შემოსავალი აქვს ძალიამ მწირი, მაგრამ აქ მთავარი და ამოსავალი წერტილია ის, თუ როდიდან არის ოჯახი ამ მდგომარეობაში. სიუჟეტებში ყველას გამოყავს ისე, თითქოს ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ვიღაცამ შიმშილი და ოცნებამ ამას ხელი შეუწყო.

არადა, არცერთი ოჯახი არც 2012-მდე და ზოგადად არც 96-მდე არ ყოფილა ძლიერი და წელში გამართული. ჩემთვის პირადად არცერთი ხელისუფლება არ ჩაითვლება წარმატებულად, სანამ იარსებებს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, მაგრამ საქართველოს ისტორიაში პირველად გვყავს ისეთი მთავრობა, რომლის დროსაც თითოეული ადამიანის კეთილდღეობა, განვითარება, ჯანმრთელობა არის უმთავრესი და ამომავალი წერტილი მისი ხვალინდელი დღისა.

შეგიძლიათ შემახსენოთ ხელისუფლება, რომლის დროსაც, ამდენ ადამიანს გადაეცა საცხოვრებელი? ამდენ გაჭირვებულს დაეხმარა? ამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა? ამდენი ინვესტიცია განხორციელდა? ამდენი დახმარება გაიცა? ასეთი საყოველთაო ჯანდაცვა ოდესმე ყოფილა? ჩათვალეთ , რომ დღეს არ ვარ ოცნების მხარდამჭერი და ყველაფერს შევხედოთ ისე, როგორც არის. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც არ აქვს ნავთობი, რომელსაც არ აქვს ისეთი რესურსები, რითაც შევძლებთ დამოუკიდებლად ეკონომიკის უსწრაფესად განვითარებას. ეს ყველაფერი ხდება ჩვენთან, ჩვენს სამშობლოში, იმ სამშობლოში, სადაც ყოველი ხელისუფლება ომით ამთავრებდა, მაგრამ ჩვენ დღეს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ გვაქვს ომი, არ გვეღუპება შვილები, არ ვკარგავთ ტერიტორიებს, არ გვიდებენ წამალს, არ გვიჭერენ მეგობრებს, არ იღებს ქრთამს „მილიცია“ და ა.შ.

კვლავ განვმეორდები, რა თქმა უნდა საშინელებაა ნებისმიერი ადამიანის გაჭირვება, მაგრამ ეს გაჭირვება ოცნებამ მოიტანა? ის, რასაც აჩვენებთ, მანამდე სიმდიდრეში იყო? რატომ, რატომ ცდილობთ ყველაფრის შავ-თეთრად მოჩვენებას? ამით რა სიამოვნებას იღებთ? და ბოლოს — ვინც ყოველ საღამოს გაჭირვებულებს აჩვენებთ, იქნებ სიუჟეტის ბოლოს ისიც გვითხრათ, თქვენ, თქვენი ტელევიზიების დამფინანსებლები, თქვენი თანამშრომლები და ა.შ რამდენით ეხმარებით იმ ოჯახებს, ვის გაჭირვებასაც აბრალებთ ბიძინა ივანიშვილს? აი, ამით დაიწყეთ თქვენი სიუჟეტები, 24 ათასი რომ გაქვთ ხელფასი, მაგის ნახევარი მაინც ვის ოჯახებში მიდის? ვის აწვდით ლუკმას?

მოკლედ, ძალიან დავიღალე, ძალიან არასწორად იქცევით, დაფიქრდით, რის მიღწევას ცდილობთ და რას მიიღებთ? არასოდეს მწამს იმის ცრემლის, რომლის უკანაც სხვისი ცრემლისთვის დადგმული სცენებია!!!

ხო მართლა, ასევე მინდა ყველამ დადოთ ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარჩენილი და დღემდე რომ ეხმარება ოჯახებს, იმ თანხის მეათედი, რომელიც გაგიკეთებიათ.

კიდევ ერთხელ დაფიქრდით, ნუ დათესავთ ღვარძლს, ბოროტებას და მუქ ფერებს, ცხოვრება კიბეა, არავინ იცის ხვალ როგორ შემოგიბრუნდებათ ყველაფერი!!!

„რეპორტიორი“

გზა მშვიდობისა, ბიჭებო!

მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე ქვეითი ბატალიონი ავღანეთში გაემგზავრა. ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ შესასრულებლად 32-ე ქვეითი ბატალიონი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში გაემგზავრა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქვედანაყოფი მე-13 ქვეით ბატალიონს შეცვლის და ბაგრამის საავიაციო ბაზაზე უფლებამოსილებას ოფიციალურად გადაიბარებს.

ქართველი მშვიდობისმყოფელები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა და დასავლეთის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა კობა გრიგოლიამ გააცილეს. თავდაცვის უწყების ცნობით, თავდაცვის ძალების მეთაურმა სამხედრო მოსამსახურეებს მისიის წარმატებით განხორციელება და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

„მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე ქვეითმა ბატალიონმა ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის (RSM) გადასროლისწინა მომზადების ყველა ეტაპი საქართველოში გაიარა. 32-ე ქვეითი ბატალიონი მეორე ქართული ქვედანაყოფია, რომელსაც მისიაში გამგზავრებამდე გადასროლისწინა მომზადების დასკვნითი ეტაპი (ამოცანაზე ორიენტირებული სწავლება), გერმანიის ნაცვლად, საქართველოში ჩაუტარდა. შეფასება ქართველ ინსტრუქტორებთან ერთად აშშ-ის ევროპული სარდლობის წარმომადგენლებმა ჩაატარეს და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მომზადების დონეს მაღალი შეფასება მისცეს“, — აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, ვიცე-პოლკოვნიკ ტარიელ მახარაშვილის მეთაურობით, საერთაშორისო სამშვიდობო მისიას ექვსი თვის განმავლობაში ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში შეასრულებენ. ქვედანაყოფის მთავარი ამოცანა ბაგრამის სამხედრო ბაზის უსაფრთხოების დაცვა იქნება.

ქვეშეთი-კობის 9 კმ-იანი გვირაბის ასაშენებლად TBM-ის დანადგარი საქართველოშია!

ქვეშეთი-კობის მაგისტრალური გზისა და 9- კმ-იანი გვირაბის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, გვირაბის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის სპეციალურად დამზადებული TBM (Tunnel Boring Machine) დანადგარი საქართველოში უკვე ჩამოვიდა.



9-კმ-იანი გვირაბის მშენებლობა, საქართველოში პირველად განხორციელდება გვირაბგამყვანი მანქანის — TBM-ის საშუალებით. TBM-ის დანადგარი ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნოლოგიური გვირაბგამყვანი მანქანაა. ამ მეთოდით გვირაბის მშენებლობა მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და მეტად უსაფრთხოა. TBM-ის მანქანა, გვირაბის გაყვანის პარალელურად, უზრუნველყოფს გვირაბის ბეტონით მოპირკეთებას, რაც კიდევ უფრო ზრდის უსაფრთხოების სტანდარტს.

ქვეშეთი-კობის 23-კმ-იანი გზისა და 9-კმ-იანი გვირაბის მშენებლობის ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება.

ქვეშეთი-კობის არსებული გზა გადის რთულ გეოგრაფიულ მარშრუტზე. ზამთრის დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო, არსებულ გზაზე გადადგილება არ არის უსაფრთხო. ახალი მაგისტრალური გზისა და გვირაბის მშენებლობით მოგვარდება მრავალწლიანი პრობლემა და წელიწადის ნებისმიერ დროს ამ მარშრუტზე შესაძლებელი გახდება ავტოტრანსპორტის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ მოძრაობა. გვირაბი, რომელიც ქვეშეთი-კობის მაგისტრალური გზის პროექტის ფარგლებში აშენდება, სიგრძით — 9 კმ, ხოლო სიგანით 15 მეტრი იქნება და მისი ანალოგი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში არ იარსებებს.

საელჩო ისრაელში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს

ისრაელში საქართველოს საელჩო წმინდა მიწაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, 27 დეკემბერს დამტკიცებული საკარანტინო შეზღუდვები 8 იანვრიდან გამკაცრდება, ქვეყანა სრულად ჩაიკეტება. რეგულაციები ორი კვირის მანძილზე იმოქმედებს.

იკრძალება: საცხოვრებელი ადგილიდან ერთ კილომეტრზე შორ მანძილზე გადაადგილება. დახურულ სივრცეში ხუთ, ხოლო ღია სივრცეში ათ ადამიანზე მეტის შეკრება.

ფუნქციონირებას შეწყვეტენ: სკოლები და საბავშვო ბაღები.

შეიზღუდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა (50%) და ქალაქებს შორის გადაადგილება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ დამტკიცებული რეგულაციებიდან გამომდინარე, შობის ღამეს ქ. ბეთლემში გადაადგილებაზე არსებული შეზღუდვა. შეზღუდვები, ასევე, შეეხო ისრაელის საზღვრის კვეთის რეგულაციას და აეროპორტის მუშაობას.

საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის ინფორმაციით, უწყვეტ რეჟიმში გრძელდება ტყის და მინდვრის ხანძრების ქრობა. ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით დარჩენილია 11 კერა, სადაც გრძელდება სალოკალიზაციო სამუშაოები. კერძოდ, საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსხურის ინფორმაციით, საქართველოში ამ დროისთვის შემდეგი ხანძრის კერებია:

სამეგრელო:

წალენჯიხა, სოფელი ჯაღირა — იწვოდა ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. ხანძარი ლოკალიზებულია. მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ადგილზე მობილიზებულია 3 ერთეული სახანძრო — სამაშველო ტექნიკა და მეხანძრე-მაშველთა პირადი შემადგენლობა.

ჯვარი, სოფელი მუჟავა — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. რთული რელიეფის გამო, სახანძრო ტექნიკის კერებამდე მიყვანა ვერ ხერხდება. ადგილზე იმყოფება მეხანძრე-მაშველთა პირადი შემადგენლობა და ინდივიდუალური აღჭურვილობების საშუალებით მიმდინარეობს ქრობის სამუშაოები.

წალენჯიხა, სოფელი სქური — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. რთული რელიეფის გამო სახანძრო ტექნიკის კერებამდე მიყვანა ვერ ხერხდება. ადგილზე იმყოფება მეხანძრე-მაშველთა პირადი შემადგენლობა და ინდივიდუალური აღჭურვილობების საშუალებით მიმდინარეობს ქრობის სამუშაოები.

მარტვილი, სოფელი ბალდა — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

იმერეთი:

წყალტუბო, სოფელი ზარათი — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი, ამ დროისთვის ხანძარი ლოკალიზებულია. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. მთელი ღამის განმავლობაში ადგილზე მობილიზებული იყო მეხანძრე-მაშველთა პირადი შემადგენლობა და 9 ერთეული სახანძრო-სამაშველო ტექნიკა. მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები. სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

ხონი, სოფელი ძეძილეთი — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი და ბუჩქები. მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. ხანძარი ლოკალიზებულია. სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

აჭარა:

ქედა, სოფელი ბზუბზუ — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. ხანძარი ლოკალიზებულია, ამ დროისთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე შეინიშნება ცალკეული მხრჩოლავი კერები. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი:

ონი, სოფელ ონჭევის და სოფელ წოლას მიმდებარედ — იწვის შერეული ტყის ქვედა საფარი. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. გრძელდება სალოკალიზაციო სამუშაოები. ამ დროისთვის ადგილზეა მეხანძრე-მაშველთა პირადი შემადგენლობა შესაბამისი ინდივიდუალური სახანძრო სპეცაღჭურვილობით.

ცაგერი, სოფელი ჩქუმი — იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. რთული რელიეფის გამო სახანძრო ტექნიკის კერებამდე მიყვანა ვერ ხერხდება. ადგილზე იმყოფება მეხანძრე-მაშველთა პირადი შემადგენლობა და ინდივიდუალური აღჭურვილობების საშუალებით მიმდინარეობს ქრობის სამუშაოები.

ცაგერი, სოფელი ლაილაში — კლდოვან და ქვა-ღორღიან მთაზე იწვის ფოთლოვანი ტყის ქვედა საფარი. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. ამ დროისთვის, ადგილზეა მეხანძრე-მაშველთა ქვეითი შემადგენლობა და 1 სახანძრო-სამაშველო ავტო-ტექნიკა. მიმდინარეობს სალოკალიზაციო სამუშაოები;

შიდა ქართლი:

კასპი, რკონის ხეობაში იწვის შერეული ტყის ქვედა საფარი, ბუჩქები და ხეები. ხანძრის სიახლოვეს არ არის დასახლებული პუნქტი. მოყინული და დაზიანებული გზის საფარის მიუხედავად, ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი ავტოტექნიკა. ადგილზე მუშაობენ მეხანძრე-მაშველთა ქვეითი ჯგუფები და 3 ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტოტექნიკა;

საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის ინფორმაციით, ბოლო 48 საათში ქვეყნის მასშტაბით აღირიცხა 243 ხანძრის კერა, რომელთაგან 232 უკვე ლიკვიდირებულია. როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ამ დროისთვის ყველა კერაზე ხანძარი კონტროლს ექვემდებარება. გარდა ამისა, მზადყოფნაში არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენები და საჭიროების შემთხვევაში, საჰაერო ტექნიკა ჩაერთვება ქრობის სამუშაოებში, თუმცა ამ დროისთვის არც ერთ კერაზე საჭიროება არ არის.

ვერაგი პანდემიის პირისპირ!..

2020 წლის მარტიდან ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიღებული პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილება პანდემიასთან პირდაპირ ან ირიბად იყო დაკავშირებული, იანვარ-თებერვალში კი რამდენიმე სხვა სიახლის შესახებაც გახდა ცნობილი.

2020 წლის საქართველოს ეკონომიკის ჩრდილ-ნათელი...

ცვლილებები ტექდათვალიერებაში.

იანვრიდან გათხევადებულ აირზე მომუშავე ავტომობილებისთვის ტექდათვალიერებაზე გასასვლელად აირბალონის ტექნიკურად გამართულობის სერთიფიკატის წარდგენა გახდა სავალდებულო.

ვალდებულება არ შეხებია 5 წლამდე ასაკის ბალონებს. აირბალონის მოწყობილობის სისტემისთვის კი ეს ვადა 3 წლით განისაზღვრა. რეგულაციის ამოქმედების მომენტში საქართველოში სულ 7 ინსპექტირების ცენტრი მოქმედებდა, 2 თბილისში და 5 რეგიონებში.

გარდაბნის თბოსადგური 2.

17იანვარს, ეკონომიკის მინისტრმა პრემიერთან ერთად გარდაბნის თბოსადგური 2 გახსნა. ბუნებრივ გაზზე მომუშავე ენერგოეფექტური თბოსადგურის სიმძლავრე 230 მეგავატია და წლიურად 1.3 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია.

მის ასაგებად საჭირო ინვესტიციის მოცულობამ 4180 მლნ შეადგინა. სადგური 0-დან გაშვების ფუნქციითაა აღჭურვილი, რაც საჭიროების შემთხვევაში, არასეზონურ პერიოდშიც მის სწრაფ ამუშავებას გულისხმობს. მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში თბოსადგურმა 686 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია გამოიმუშავა.

წიაღისეული პროგრამა.

11 თებერვალს პროგრამა „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების კომპონენტი დაემატა. ეკონომიკის მინისტრი მაშინ იმედოვნებდა, რომ 100 ლიცენზიას მინიმუმ 82 მლნ ლარად გაყიდდა და მოპოვებისთვის საჭირო ინვესტიციის მოცულობა 120 მლნ ლარს გადააჭარბებდა...

ეკონომიკური შეღავათების I პაკეტი.

14 მარტს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე 1 კვირით ადრე უწყებამ პირველი შეღავათების შესახებ განაცხადა. მთავრობის გადაწყვეტილებით:

1. ბანკებთან თანამშრომლობის შედეგად ფიზიკურ პირებს სესხის შენატანის 3 თვით გადავადების საშუალება მიეცათ, ამ პერიოდის განმავლობაში სესხს საპროცენტო განაკვეთი ერიცხებოდა, მაგრამ მსესხებელი მას არ იხდიდა;

2. ტურისტულ ბიზნესში ჩართულ კომპანიებს: სასტუმროები, რესტორნები, ტუროპერატორები, სატრანსპორტო და საექსკურსიო კომპანიები... საშემოსავლო და ქონების გადასახადი ნოემბრამდე გადაუვადდათ. შეღავათი 18 000 გადასახადის გადამხდელსა და 50 000-ზე მეტ დასაქმებულს შეეხო. ეკონომიკაში პოტენციურად დასარჩენი თანხა 100 მლნ ლარით განისაზღვრა;

3. მცირე ზომის — 50 ნომრამდე სასტუმროებს სესხის პროცენტის თანადაფინანსების შეთავაზება გაუკეთდათ;

4. დაანონსდა გაორმაგებული მოცულობის დღგ-ს დაბრუნება — 1.2 მლრდ, 600 მლნ ლარის ნაცვლად;

5. დაანონსდა კაპიტალური ხარჯების 300 მლნ ლარით ზრდა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.

17 მარტს Heritage Foundation ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების შესახებ გახდა ცნობილი. 77.1 ქულით საქართველო 4 პოზიციით დაწინაურდა და მე-12 ადგილი დაიკავა.

იმავე რეიტინგში საქართველომ ევროპაში მდგომარეობა 2 პოზიციით გაიუმჯობესა და მე-6 ადგილი დაიკავა. რეიტინგი 4 მიმართულებით გაკეთდა: კანონის უზენაესობა, მთავრობის მოცულობა, რეგულაციების ეფექტიანობა და ღია ბაზარი. აღნიშნული მიმართულებები, თავის მხრივ, 12 კომპონენტს მოიცავს.

21 მარტს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. იმ დღიდან ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებები თანხვედრაში იყო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებთან.

სრული კარანტინი.

31 მარტს საქართველოში საგანგებო მდგომარეობის პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა და ფაქტობრივად საყოველთაო კარანტინი ამოქმედდა. დაწესდა კომენდანტის საათი. აიკრძალა ყველა სახის მუნიციპალური, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ტრანსპორტის მსუბუქი ავტომობილის (მათ შორის ტაქსების) გარდა.

დაიკეტა ყველა სავაჭრო ობიექტი აფთიაქების, ვეტაფთიაქებისა და სასურსათო მაღაზიების გარდა. შეჩერდა კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებები, აიკრძალა თითქმის ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა სურსათის წარმოება-დისტრიბუცია-რეალიზების, სააფთიაქო ქსელების, სამედიცინო მომსახურების, საფინანსო მომსახურების, ბანკების და მიკროსაფინანსოების, ტაქსის მომსახურების, ავტოტექმომსახურების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების, კერძო დაცვითი საქმიანობის, საადვოკატო მომსახურებისა და პრესის ჯიხურების გარდა. დახურვას ვერ გადაურჩა ლომბარდები, სავალუტო ჯიხურები, ალკოჰოლისა და საოჯახო ქიმიის მაღაზიებიც. 17-დან 27 აპრილამდე აკრძალული იყო მსუბუქი ავტომობილით გადაადგილება. ასევე 17 აპრილიდან დახურულ სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო გახდა. ვალდებულება დღემდე ნარჩუნდება, მეტიც — 4 ნოემბრიდან ის ღია სივრცეშიც სავალდებულო გახდა. მძიმე შეზღუდვებს მძიმე შედეგებიც მოჰყვა, აპრილში მშპ რეკორდულად — 16.6%-ით შემცირდა.

შეღავათები და დახმარებები.

24 აპრილს შეზღუდვების მოხსნის 6 ეტაპიანი გეგმა გამოქვეყნდა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. პირველ ეტაპზე 27 აპრილიდან უნდა აღდგენილიყო ავტომობილით მოძრაობა, დასაშვები ხდებოდა ისევ ონლაინ ვაჭრობა, იხსნებოდა ღია ტიპის აგრარული ბაზრები.

პირველი ეტაპი შესრულდა. ეტაპებს შორის შუალედად 2-2 კვირა განისაზღვრა. სილამაზის სალონები, სავაჭრო ცენტრები და რესტორნები დაგეგმილზე ადრე გაიხსნა, თუმცა კინოთეატრები, კაზინოები და ტოტალიზატორები, რომლებიც 6 ივლისიდან უნდა გახსნილიყო, საერთოდ არ გახსნილა. 1 ივლისიდან უნდა აღდგენილიყო საერთაშორისო ფრენებიც, რომელიც ჯერ აგვისტომდე, შემდეგ — სექტემბრამდე, ბოლოს კი 2021 წლის 1 თებერვლამდე გადავადდა.

აპრილშივე ცნობილი გახდა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც უმუშევრად დარჩენილი პირებისთვის 6 თვის განმავლობაში თვეში 200-ლარიან დახმარებას ითვალისწინებდა. პროგრამით ისარგებლა 162 000-მა პირმა, მათ შორის 6-ჯერ 70 000-ზე მეტმა ან მათ სამსახური დიდი ხნით დაკარგეს. გარდა ამისა, ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარება გადაეცა 249 000 თვითდასაქმებულს. თანამშრომლების შესანარჩუნებლად კომპანიები იმ პირებისთვის რომელთა დარიცხული ხელფასიც 750 ლარზე ნაკლები იყო, 6 თვით საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდნენ, ხოლო იმ პირებისთვის რომელთა დარიცხული ხელფასიც 750-დან 1500 ლარამდე იყო, საშემოსავლო მხოლოდ 750 ლარს ზემოთ არსებული ხელფასიდან დაერიცხათ. ფერმერები გათავისუფლდნენ საირიგაციო გადასახადისგან, რომელიც 1 ჰა-ზე 75 ლარს შეადგენდა.

FITCH-ის რეიტინგი.

აგვისტოში Fitch-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB ნეგატიური პერსპექტივის დონეზე შეუნარჩუნა.

ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, იმ ფონზე, როდესაც სხვა განვითარებულ ქვეყნებს რეიტინგი შეუმცირდათ, მისი უცვლელად დატოვება პოზიტიური სიგნალია. მაშინ უწყებაში ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ 2020 წლის ვარდნა 4.8%-ს არ გადააჭარბებდა და 2021-ში ზრდა 4.5%-ს მიაღწევდა. დღეს ორივე პროგნოზი მკვეთრად გაუარესებულია.

სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო 1 პოზიციით დაწინაურდა და მე-8 ადგილი დაიკავა. იმის გათვალისწინებით, რომ ესა თუ ის რეიტინგი წინა წლის, ან წლების კვლევის შედეგებს ეფუძნება, მკაცრ კოვიდრეგულაციებს ქვეყნისთვის ქულის მომატებაში ხელი არ შეუშლია.

ახალი საბაგიროები.

მთის კურორტების განვითარების კომპანიის დაკვეთით ოქტომბერში ავსტრიულ-შვეიცარიულმა „დოლპმაიერმა“ ბაკურიანში, დიდველზე 3 ახალი საბაგიროს მშენებლობა დაასრულა.

სამივე საბაგიროს გამტარუნარიანობა საათში 5400 მგზავრია, რომლის გზრდაც 7200-მდეა შესაძლებელი. არც ახალი და არც ძველი საბაგიროები არც ერთ სათხილამურო კურორტზე არ ჩართულა. მთის კურორტების დაკეტვის გადაწყვეტილება 26 ნოემბერს საკოორდინაციო საბჭომ მიიღო.

მეორე ლოკდაუნი.

28 ნოემბრიდან საქართველოში „წერტილოვანი შეზღუდვების“ სახელით, მეორე ლოკდაუნი გამოცხადდა. ისევ აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

9 ნოემბრიდან ამოქმედებულმა კომენდანტის საათმა 1 საათით ადრე 21:00 სთ-ზე გადმოინაცვლა. დაიკეტა პრაქტიკულად ყველაფერი საოჯახიო ქიმიის მაღაზიებისა და სილამაზის სალონების გარდა. 24 დეკემბრიდან 2 იანვრამდე შეზღუდვები მნიშვნელოვნად უნდა მოხსნილიყო, თუმცა გაიხსნა მხოლოდ სავაჭრო ცენტრები და მათაც 19:00 სთ-მდე მიეცათ მუშაობის უფლება, იმ დაშვებით, თუ 20 კვადრატულ მეტრში მხოლოდ 1 მომხმარებელს დაუშვებდნენ, მაშინ როცა 2 მეტრიანი დისტანციის დასაცავად 13 კვადრატული მეტრიც საკმარისია.

იანვარ-ოქტომბერში ეკონომიკა 5.1%-ით შემცირდა. ნოემბერ-დეკემბერში გამკაცრებული შეზღუდვების ფონზე ვარდნა საშუალოზე მეტი იქნება.

წელს ასევე საბოლოოდ შეწყდა ხელშეკრულება ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან. სამწლიანი პაუზის შემდეგ ფუნქციონირება განაახლა შუახევჰესმა. გაგრძელდა ავტობანის მშენებლობა. დანარჩენი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცირე საწარმოს გახსნასა და ონლაინ ფორმატში საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა...

გიორგი ელიზბარაშვილი

2021 წელს საქართველოს ეკონომიკა ოთხი პროცენტით გაიზრდება!

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული გლობალური ეკონომიკური პერსპექტივების 2021 წლის იანვრის გამოცემის მიხედვით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა ექვსი პროცენტით შემცირდება. 2021 წლიდან ეკონომიკის აღდგენა დაიწყება და წლის ბოლოსთვის ზრდა ოთხ პროცენტს მიაღწევს. 2022 წელს კი, იგივე მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ქვეყნის ეკონომიკა ექვსი პროცენტით გაიზრდება.

გამოცემის მიხედვით, COVID-19—ის პანდემიამ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მნიშვნელოვანი კრიზისი გამოიწვია ჯანდაცვის და ეკონომიკის მიმართულებით, რომელსაც ართულებს სოციალური უკმაყოფილება და კონფლიქტი.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2020 წლის შუა პერიოდში სტაბილიზაციის შემდეგ, შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა მეოთხე კვარტალში და მთავრობები აიძულა შეენარჩუნებინათ ან ხელახლა შემოეღოთ შემარბილებელი ღონისძიებები. შეფასების მიხედვით, რეგიონული მშპ გასულ წელს 2.9%-ით შემცირდა. თითქმის ყველა ქვეყანაში აღინიშნა ეკონომიკური კრიზისი და ქვეყნების დაახლოებით ორ მესამედში გაჩნდა გაცილებით ღრმა ვარდნის მოლოდინი ვიდრე გლობალური ფინანსური კრიზისის დროს.

პანდემიამ ყველაზე ძლიერი დარტყმა მიაყენა იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ძლიერი სავაჭრო ან ფინანსური კავშირები ჰქონდათ ევროზონასთან და რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებულნი სერვისებზე და ტურიზმზე.

ქართველი სამართალ-მცოდნის ევროპული სიმაღლე

მართალია, კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აუარება ახალი პრობლემა დააყენა, რომელთა უმოკლეს ვადებში საფუძვლიანად კვლევა და გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია, არსებითად, ომების, ანუ, შეიარაღებულ დაპირისპირებათა განუწყვეტელი ისტორიაა, ამ ურთულესი თემის კვალიფიციურად შესწავლის უდიდესი მნიშვნელობა სრულიად ნათელია.

საკუთარი ტერიტორიის ოკუპაციის უმძიმესი პრობლემა, მოგეხსენებათ, დიდი ხანია, საქართველოს წინაშეც დგას. კონსტრუქციულ შედეგს მოკლებული მოლაპარაკებები დიდი ხანია, მიმდინარეობს. ამდენად, ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემის სამართლებრივი მხარეების სიღრმისეულ შესწავლას როგორც ზოგადად საერთაშორისო სამართლის თვალთახედვით, ასევე ჩვენთვის, უაღრესად დადებითი როლის შესრულება შეუძლია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ასეთ რთულ, სამეცნიერო აზრის განვითარებისთვის ერთობ არახელსაყრელ ვითარებაში, დიდად სასიხარულო და საამაყოა, რომ ამ მეტად საგულისხმო, რთულ პრობლემას წარმატებით იკვლევს ჩვენი თანამემამულე, ახალგაზრდა სწავლული იურისტი **ნათია კალანდარიშვილ-მიულერი,** რომელ კვლევასაც მაღალი შეფასება მოჰყვა საერთაშორისო სამართალმცოდნეთა მხრიდან.

ცოტა ხნის წინათ დიდ ბრიტანეთში, ლონდონში დაისტამბა ქართველი მკვლევრის მონოგრაფია **„ოკუპაცია და კონტროლი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში“.**

ვიდრე სამამულო სამართალმცოდნეობისთვის ამ მტკივნეული თემის ფუნდამენტური კვლევის ზოგიერთ ასპექტს კონკრეტულად შევეხებოდეთ, გვინდა რამდენიმე სიტყვა მის ავტორზე, ქალბატონ ნათია კალანდარიშვილი-მიულერზე მოგახსენოთ.

ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას სამეცნიერო კვლევათა მაგისტრალურ მიმართულებებად მომავალმა სამართალმცოდნემ საერთაშორისო ჰუმანიტარული (ომის) და საჯარო სამართალი აირჩია.

სამართლის დოქტორი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მაგისტრი, აკადემიური ხარისხის დიპლომირებული სამართალმცოდნე, ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი დაოვჯახების შემდეგ შვეიცარიაში, ბერნში ცხოვრობს, თუმცა კი სამშობლოში კვლავაც უწყვეტი სამეცნიერო და პედაგოგიური კავშირები აქვს. ამჟამად იგი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორია საერთაშორისო სამართლის სფეროში, გარდა ამისა, გახლავთ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიწვეული ლექტორი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით.



მეტად შთამბეჭდავია დოქტორ ნათია კალანდარიშვილ-მიულერის პროფესიული საქმიანობა – მას აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლების თორმეტწლიანი გამოცდილება როგორც მაგისტრატურის, ასევე ბაკალავრიატის საფეხურებზე, საექსპერტო ლექციებს კი კითხულობდა შვეიცარიის ჟენევის, ციურიხის, ფრიბურგის, ესპანეთის პომპეუ ფაბრასა და ირლანდიის ეროვნულ უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, მას სამშობლოში პრაქტიკული მოღვაწეობის მეტად საგულისხმო, სერიოზული გამოცდილებაც აქვს: 2008-09 წლებში იგი სახელმწიფო მინისტრის აპარატში სამართლებრივ დეპარტამენტში რეინტეგრაციის საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა...

რაც შეეხება დოქტორ ნათია კალანდარიშვილ-მიულერის მონოგრაფიული ხასიათის წიგნს **„ოკუპაცია და კონტროლი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში“,** რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ კალანდარიშვილის მიერ დაპყრობილი „პირველი ევროპული მწვერვალი“, ის ძირითადად სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი, რომელთათვისაც უაღრესად საინტერესო სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ნაშრომში სამხედრო ოკუპაციის სამართალში კონტროლის ცნების სისტემური ანალიზია წარმოდგენილი.

თანამედროვე ეპოქაში, ოკუპაცია სხვადასხვა ფორმითა და სახით წარმოჩინდება. ფუნდამენტურ ნაშრომში ოკუპაციის მახასიათებლები განხილულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახის კონტროლს აწესებენ ცალკეულ ტერიტორიებზე, როგორ ხდება მისი დამყარება-შენარჩუნება, საერთაშორისო სამართლის თვალთახედვით.

საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის ამ მეტად საგულისხმო მონოგრაფიაში ჩინებულადაა წარმოჩენილი და მკაფიოდაა განმარტებული ის კრიტერიუმები, რომლებიც სამხედრო ოკუპაციის დადგენისა და მისი შეწყვეტისთვისაა აუცილებელი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ წიგნი სამხედრო ოკუპაციის შესახებ პრაქტიკული მაგალითების მოხმობითაა გაჯერებული. გარდა ამისა, მასში მოყვანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სათანადო ანგარიშები და სამართლებრივი დოკტრინები.

ნათია კალანდარიშვილ-მიულერის მონოგრაფია გამოიცა ინგლისში, როგორც სპეციალისტების სამაგიდო წიგნი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მეტად პოზიტიური რეზონანსი, რომელიც ჩვენი თანამემამულის მონოგრაფიის გაცნობამ გამოიწვია. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ჟენევის აკადემიის ადამიანის უფლებათა მთავარი მკვლევარი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტრატეგიული მრჩეველი, დოქტორი **ანისა ბელაილი** წერს: „ნათია კალანდარიშვილ-მიულერის წიგნი „ოკუპაცია და კონტროლი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში“ წარმოადგენს ღირებულ სახელმძღვანელოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარგში. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ავტორის მიერ წარმოდგენილი ეფექტიანი კონტროლის განმარტება, რომელიც მანამდე საერთაშორისო სამართლის თემატურ ლიტერატურაში არ მოიპოვებოდა“.

ნიდერლანდის თავდაცვის აკადემიის პროფესორი სამხედრო სამართლის დარგში, დოქტორი **მარტენ ზვანენბურგი** კი დასძენს, რომ „წიგნში სისტემურად და თანამიმდევრულად გაანალიზებულია ეფექტიანი კონტროლის ტესტის ცნება, რომელიც გამოიყენება ოკუპაციის დაწყებისა და დასრულების დასადგენად... რა მიზნითაც მასში წარმოდგენილი და განხილულია კონტროლის ცნება სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში. ნაშრომი მეტად ღირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრაქტიკოსი იურისტებისა და მეცნიერებისთვის“.

ასეთი გახლავთ ავტორიტეტულ სამართალმცოდნეთა მიერ ახალგაზრდა ქართველი სწავლული იურისტის პირველი მონოგრაფიული ნაშრომის პატივგებიანი შეფასება, რომელსაც სულითა და გულით ვუერთდებით და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასა და ასევე, პირად ცხოვრებაში.

ოთარ ტურაბელიძე

რედაქტორისგან:

2021 წლის შემობრძანებას ვულოცავთ ნათია კალანდარიშვილ-მიულერს, მის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს. ეს წელიწადი კოვიდის დამარცხების, კონფლიქტების მოგვარების და საყოველთაო მშვიდობის წელი ყოფილიყოს!..

ევროპის სამართალმცოდნეთა სამეცნიერო წრეებში წარმოჩენილი ნათია კალანდარიშვილ-მიულერის მსგავსი შვილები გვიმრავლოს უფალმა!

ზვიად ციკოლია: გვინდა, თვეში 3-4 თვითმფრინავი შევქმნათ!..

ცნობილი ქართველი სამრეწველო დიზაინერი ზვიად ციკოლია თვითმფრინავის ახალ მოდელზე მუშაობას აქტიურად აგრძელებს, – ამის შესახებ „კომერსანტს“ თავად დიზაინერმა განუცხადა. მისი თქმით, კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ პერსონალური, სასეირნო, ერთადგილიანი თვითმფრინავის წარმოების პროცესს მცირე პრობლემები შეუქმნა, თუმცა მსუბუქი და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თვითმფრინავის პროექტირება გრძელდება.

„წინ მივდივართ, არ ვჩერდებით, პანდემიამ ხელი შეგვიშალა რაღაცების ჩამოტანაში, მაგრამ წინსვლას სულ მალე ნახავთ. „დელტა“ გვერდში გვიდგას, ფართი გამოგვიყვეს, ყველანაირად შეგვიწყვეს ხელი, დანადგარები უკვე დავამონტაჟეთ. საახალწლო პერიოდის შემდეგ ჩვეულებრივი რეჟიმით შევუდგებით მუშაობას. თვითმფრინავების წარმოების რაოდენობა დამოკიდებულია მოთხოვნაზე, თუმცა საქმე იმაშია, რომ გვინდა, თვეში 3-4 ცალი მაინც ვაწარმოოთ, ჩვენი სურვილი ასეთია, სხვანაირად კომერციული გამართლება არ ექნება. როდესაც თვითმფრინავი საერთაშორისო გამოფენაზე გამოიფინება, როდესაც საზოგადოებას და ექსპერტებს წარვუდგენთ, მფრინავების დასკვნებს ვაჩვენებთ, შემდეგ უფრო მეტი დეტალი გამოიკვეთება. ქართველებს სადღეგრძელოები გვიყვარს, მაგრამ მიწაზე უნდა დავეშვათ და რეალობას შევხედოთ თვალებში. დარწმუნებული ვარ თვითმფრინავებს ეყოლება სერიოზული მომხმარებელი და წარმატებული პროექტი იქნება, მაგრამ თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ, შევქმნათ თვითმფრინავი, აფრინდეს და უკვე შემდეგ დაველოდოთ შედეგებს“, – განაცხადა ზვიად ციკოლიამ.

თვითმფრინავის შექმნა ნებისმიერ ადმიანს შეეძლება. ზვიად ციკოლია აცხადებს, რომ ხარჯები ზუსტად ცნობილი არ არის, მაგრამ ფიქრობს, რომ თვითმფრინავის ღირებულება 25 000-დან 30 000 დოლარის ფარგლებში იქნება. გეტყვით, რომ თვითმფრინავი იქნება ერთადგილიანი პირადი მოხმარების. თავისი მონაცემებიდან გამომდინარე, საკმაოდ შორ მანძილზე შეძლებს ფრენას, დაახლოებით 400 კილომეტრზე, ხოლო სიჩქარე ყველა გამოთვლით დაახლოებით 180 კმ/სთ იქნება.



შეგახსენებთ, რომ ზვიად ციკოლია ცნობილი ქართველი სამრეწველო დიზაინერია, რომლის პორტფოლიოში მრავალი პროექტი შედის. მისი ნამუშევრები გამოქვეყნებულია: Carstyling, Auto&Design, Auto Bild, Auto review, Super cars, GQ, Le, Style, Really Good Packaging, Big Book of Packaging, Design and Design და სხვა ჟურნალებში. ხოლო „Tsikolia Watches“ ქართული საათების ბრენდია, რომელიც განსაკუთრებული დიზაინით შვეიცარიაში მზადდება და უკვე წლებია, ბაზარზე საკუთარ ნიშას ინარჩუნებს.

ბაჩო ადამია

2020 წლის პანდემიამ სრულიად შეცვალა ჩვენი საარსებო გარემო და ისე როგორც არასდროს, სახელოვნებო სივრცეც. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მრავალსაუკუნოვანი თეატრის ისტორიის განვითარების მაგისტრალური ხაზი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამ დროის განმავლობაში თეატრმა დიდი გარდატეხები განიცადა.

ადგილი, რომელიც განკუთვნილი იყო მსახიობსა და მაყურებელს შორის უშუალო ურთიერთობისთვის, დღეს აღარ არსებობს. თეატრი, ეს ხომ ვიზუალურ-ვერბალური აქტის თანაფარდობაა, ცდა ახალი გარემოებების შექმნისა, რომელიც ასე აღაფრთოვანებს მაყურებელს. კიბერსივრცეში რთულია აღქმა იმ ინტიმურობისა, რომელსაც მაყურებელი სპექტაკლის ცქერისას შეიგრძნობს. ვერასდროს მიიღებ ეკრანიდან იგივე სიამოვნებას, რასაც განიცდი უშუალოდ დარბაზში ყოფნის დროს. ხელოვნებისეული ნაწარმოების აღქმისას, ამჯერად უკვე ბოლომდე ობიექტურებნი ვეღარ ვიქნებით, რადგანაც სუბიექტი, როგორც პიროვნება წყვეტს ვიზუალურ-ვერბალური აქტის თანაფარდობას, ტვინი გადმოგვცემს იმპულსებს, რა მოგვწონს სპექტაკლის ყურებისას, შესაბამისად, ეს ორმხრივი თანაშემოქმედებითი პროცესი სპექტაკლის დამდგმელი გუნდისთვისაც თვით სრულყოფის გარანტს ქმნიდა. ამჯერად კი, როგორც არასდროს, თეატრი დაკეტილია! აფიშებზე თეთრზე შავით, დიდი ასოებით უიმედო ფრაზებს ვკითხულობთ — „სეზონის გახსნა“... თითქოს ეს ყველაფერი უკვე აბსურდადაც მეჩვენება, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ პანდემიის პერიოდიც ცუდი სიზმარივით გაქრება და ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდებით. იმედია, არ გაქრება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარი და მარადიული ღირებულებანი.



ახალი რეალობის წინაშე მყოფმა თეატრმა, არცთუ სახარბიელო სინამდვილიდან გამომდინარე, იძულების წესით, ონლაინ რეჟიმში განაგრძო არსებობა, შემოგვთავაზა ციფრული თეატრის ნამუშევრები. ფსიქოლოგიურად საკმაოდ რთულია გადაწყობა ახალ ტენდენციებზე, რა თქმა უნდა, ეს ერთგვარ დისკომფორტსაც ქმნის, თუმცა მთავარია, რომ შემოქმედებითმა გუნდმა არ დაკარგოს მიღწეული ოსტატობა და დროის შესაბამისად აიმაღლოს კიდეც.

გვერდს ვერ ავუვლით ფაქტს, რომ ციფრული თეატრის თვალყურის დევნებისას მთელ რიგ პრობლემებს წავაწყდით, რაც გამოიხატა ფართო კადრებიდან „ზუმში“ გადმოტანისას, „შუმებში“, არასინქრონიულობაში, გრაფიკასა თუ ხმაში. ზემოთ აღვნიშნე, რომ რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ და შესაბამისად, დროა, ეს პრობლემა რაც შეიძლემა სწრაფად გადაიჭრას.

მიუხედავად ტექნიკური პრობლემებისა საკმაოდ ბევრი და საინტერესო ფესტივალი იმართება ერთმანეთის მიყოლებით. ჩემი ყურადღება ბათუმის მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალმა მიიპყრო, რომელმაც, ვფიქრობ, შესანიშნავი პერფორმანსი წარმოგვიდგინა კიბერ სამყაროს დახმარებით.

ლაპარაკია მესამე კურსის დრამის რეჟისურის, სტუდენტ დავით თარბას სპექტაკლ-ინტერვიუზე. ახალგაზრდა, დამწყები რეჟისორის ორიგინალური ხედვა, რომელმაც დღევანდელ ქართულ სინამდვილეს მოარგო იულია ბოჩაროვას მონოპიესა **„ყველაფერი რაც მიყვარს.“** უნდა აღვნიშნო ფაქტი, წინა აბზაცში ნახსენებ პრობლემებზეც, რომლებიც მაღალ დონეზე აქვს გააზრებული რეჟისორს. მის ხედვაში ნათლად ჩანს ადამიანის მიზნები და მოქმედებები. ყველაფერი თანმიმდევრულად და ქრონოლოგიურად ვითარდება. ძალიან ეფექტური გამოვიდა „გაპარული, დაუმონტაჟებელი ხარვეზები, “ რამაც ვფიქრობ, თეატრის ილუზია შექმნა. შეიძლება ითქვას, შორ, საშუალო და ახლო ხედებში კინოს ელემენტები ისე ოსტატურად გამოიყენა მოძრავ კადრებში, რომ ბევრი გამოცდილი რეჟისორი ვერ ახერხებს მსგავს სინქრონულობას.

აღსანიშნავია ლევან ბერუაშვილის მუსიკალური გაფორმება, საინტერესოდ მოაზროვნე ახალგაზრდა კომპოზიტორი, რომელიც ისეთ კომპოზიციებს ქმნის, რომ თითქოს მუსიკალურ თერაპიას გადიხარ მისი მოსმენისას.

მსახიობ ლილი ხურითის მიერ მონოპიესის „თამაშისას“, ისეთი ბუნებრივობით იქნა გადმოცემული პერსონაჟის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესები, რომ რთულია გარკვევა, ირეალურია მოქმედი პირი თუ რეალური. მისი ბავშვური მიამიტობა, ტკივილი, წყენა და თითოეული განცდა იმდენად დამაჯერებელია, რომ რეალურად გიპყრობს, აღწევს მაყურებლის გულსა და გონებაში, გაჯერებს, იწვევს მძაფრ თანაგანცდას და აცნობიერებ, რომ უცრემლოდ მისი ყურება შეუძლებელია. მსახიობი ამ პატარა მონოსპექტაკლში გვაფიქრებს ცხოვრებისეულ ფარსზე, ადამიანური არსებობის არსზე, სიყვარულზე. ვეცნობით ისტორიას ადამიანზე, რომელსაც ურთიერთ საპირისპირო გრძნობები და შეგრძნებები აქვს, მაგრამ სიცოცხლისადმი ლტოლვა, მისი ღირებულებების შეცნობა აძლევს შესაძლებლობას, იფიქროს იმაზე, რაც უყვარს და განაგრძობს ბრძოლას სიცოცხლისთვის. შუახანს მიღწეული ქალი იხსენებს ფაქტებს, რომლებიც ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, მაგრამ მანამ, სანამ არ დადგა დრო წარსულისა თუ დღევანდელობის შეფასებისა, ვერც კი ამჩნევდა. იმდენად შევდივართ როლში მსახიობთან ერთად, რომ მასავით ვაზროვნებთ და ჩვენც ვსვამთ შეკითხვებს, — **რა ან ვინ გვიყვარს ყველაზე მეტად? საერთოდ უნდა გვიყვარდეს კი რამე? ანდა რამდენი რაღაც, ან ვიღაც შეიძლება გვიყვარდეს?.. აქვს კი ლიმიტი იმას რაც გვიყვარს?..**

სოფო ხუნდაძე

ივანე ჩხაიძე: დღეისთვის კორონავირუსის 1 200-მდე მუტაციაა გამოხატული!..

ივანე ჩხაიძის განცხადებით, ახალი შტამი, ე.წ. ბრიტანული ვირუსი არის უფრო მეტად გადამდები, თუმცა მისი მძიმე მიმდინარეობის ფაქტი არ დადასტურებულა, — ამის შესახებ თსსუ-ის პროფესორმა, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა „მედიაცენტრ მთავარში“ განაცხადა.

„კორონავირუსის მუტაცია უკვე დასტურდება მას შემდეგ, რაც ვირუსი ჩინეთის საზღვრებს გასცდა. ის ვირუსი, რომელიც ახლა ცირკულირებს, სრულიად განსხვავებულია იმ ვირუსისგან, რომელიც ცირკულირებდა ჩინეთში. კორონავირუსის პირველი მუტაცია გამოვლინდა ევროპაში თებერვალში, რომელიც ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გავრცელდა და გამოიწვია კორონავირუსის შემთხვევების მატება.

ზოგადად კორონავირუსს აქვს გამოხატული მიდრეკილება მუტაციისადმი და დღეისთვის გამოვლენილია 1 200-მდე მუტაცია, ოღონდ ეს მუტაციები ხანმოკლეა და მათი ზეგავლენა დღემდე არ ყოფილა აღნიშნული. ითვლება, რომ კორონავირუსმა თვის განმავლობაში, შესაძლოა, 2 მუტაცია განიცადოს, მაგრამ მათ შორის სულ რამდენიმე მუტაცია აღმოჩნდა, რომელმაც განაპირობა განსხვავებული კლინიკური მიმდინარეობა. ერთი არის ე.წ. 614 ვირუსი, მეორე, რომელიც ახლა ყველას აღელვებს, ეს არის ბრიტანული ვირუსი — ე.წ. 117 ტიპის ვირუსი, რომელსაც ჩვენ სექტემბრის თვიდან აღვრიცხავთ დიდ ბრიტანეთში, გარდა ამის, ძალიან აქტიურად შეისწავლება სამხრეთ აფრიკაში ვირუსის ახალი მუტაცია და ასევე, აფრიკის კიდევ ერთი ქვეყანა ნიგერია, სადაც დაფიქსირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მუტაცია.

დღეისთვის ცნობილია კორონავირუსის 4 მუტაცია, რომელმაც გამოიწვია გარკვეული ცვლილება, მაგრამ ყველა ეს ცვლილება ძირითადად ეხება გადამდებობას. ბრიტანულ ვირუსთან არის სხვადასხვა მოსაზრება, 40-დან 70%-მდე არის უფრო მეტად გადამდები, ვიდრე ჩვეულებრივი კორონავირუსი. დღეისთვის ჩატარებული კვლევებით დიახ, აღნიშნული მუტაცია უფრო მეტად გადამდებია, მაგრამ ფაქტი, რომ ის არის უფრო მეტად მძიმე მიმდინარეობის, ჯერ-ჯერობით არ დასტურდება. დღემდე აღრიცხულია 31 შემთხვევა მსოფლიოში ხელმეორედ ინფიცირებისა... თუ შეადარებთ, 86 მილიონში ეს 31 შემთხვევა შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს არის საერთოდ არადამახასიათებელი და არატიპური. შესაბამისად, კორონავირუსის ხელმეორედ ინფიცირების შემთხვევა არ განიხილება, როგორც ამ ვირუსისთვის დამახასიათებელი“, — განაცხადა ივანე ჩხაიძემ. საქართველოში კორონავირუსის ახალი შტამის პირველი შემთხვევა ახლახან გამოვლინდა.

14 დეკემბერს მეცნიერებმა კორონავირუსის ახალი სახეობა აღმოაჩინეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ ჯერ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ დიდ ბრიტანეთში აღმოჩენილი კორონავირუსის ახალი სახეობა სერიოზულ გავლენას ახდენს ვირუსის სტრუქტურაზე. დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის მდივანმა მეთ ჰენკოკმა განაცხადა, რომ ვირუსის ახალი სახეობა შედარებით სწრაფად ვრცელდება, თუმცა უფრო საშიში არ არის...

დადიანების სასახლეების კოლექცია „გუგლში“ განთავსდა!

მსოფლიოს **უდიდესმა „გუგლის“ კულტურულმა ინსტიტუტმა თავის პლატფორმა დადიანების სასახლეებს დაუთმო,** — ამის შესახებ ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელი გიორგი კალანდია სოციალურ ქსელში წერს.

„დაახლოებით ოთხი თვის წინ ზუგდიდის დადიანების სასახლეების მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ დავინიშნე. ხელოვნების სასახლის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, ამ უნიკალური ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის თვისობრივად ახალ მუზეუმად გარდაქმნა და მისი საგანძურის პოპულარიზაცია დავისახეთ მიზნად! ძალიან ცუდი პერიოდი დაგვემთხვა, თუმცა არ გავჩერებულვართ და შეიძლება, ითქვას, შეუძლებელი შევძელით! მსოფლიოს უდიდესმა „გუგლის“ კულტურულმა ინსტიტუტმა თავის პლატფორმა დადიანების სასახლეებს დაუთმო! ზუგდიდი ხელოვნების სასახლის შემდეგ მეორე ქართული მუზეუმია, რომლის კოლექციაც მრავალმილიონიანი მსოფლიო აუდიტორიის წინაშე გამოიფინა“, — აღნიშნავს გიორგი კალანდია.

მისივე ცნობით, გამოფენა, სახელწოდებით „დადიანების სასახლეების საგანძური“ 5 დეკემბრის ღამის 01:00 საათზე ჩაიტვირთა.

„ნიუ იორკში ამ პროცესს ჩვენი წარმომადგენელი მერი ხარაიშვილი უწევდა კოორდინაციას, რისთვისაც მას განსაკუთრებული მადლობა მინდა, ვუთხრა. გამოფენა ლილი ბერაიას ნაშრომისა და ტექსტის საფუძველზე ხელოვნების სასახლის თანამშრომელმა მარიამ კიკვაძემ მოამზადა, თანაც ზედმიწევნით. ამ გამოფენას ორმაგი მნიშვნელობა აქვს: პირველი, მსოფლიოს კიდევ ერთხელ გააცნოს ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი წარსული და ამასთანავე კულტურის, პირუთვნელი ფაქტების ენით მსოფლიოს დაანახოს ჩვენი ტერიტორიული ერთიანობის ისტორიული საფუძვლები. სწორედ ამიტომაც დამთვალიერებელი აქ იხილავს აფხაზეთიდან: ილორის, მოქვის უძვირფასეს ოქროს ხატებს, დამშვენებულს ქართული წარწერებითა და ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა სახელებით. მხოლოდ აქ, მხოლოდ „გუგლის“ ტექნოლოგიების წყალობით უმცირეს დეტალებამდე შეგიძლიათ, დაათვალიეროთ სამეგრელოს განძი, რომელიც ასე ბრწყინვალედ, ასე პომპეზურად მთელი მსოფლიოს გასაოცებლად და გასაოგნებლად პირველად გამოიფინა! ვულოცავ საკუთარ თავს, ხელოვნებისა და ზუგდიდის სასახლეების თანამშრომლებს!“, — წერს გიორგი კალანდია „ფეისბუქზე“.

ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელი ასევე ავრცელებს „გუგლის“ პლატფორმის ბმულს, რომელზეც დადიანების სასახლის კოლექციის ნახვაა შესაძლებელი: https://artsandculture.google.com/exhibit/%C2%A0treasure-of-dadiani-palaces/0AKyxVQNdUwcIQ

კლინიკების ასოციაცია: საქართველოს ჯანდაცვის სისტემა პანდემიის მესამე ტალღას ვერ გაუძლებს!

საქართველოს კლინიკების ასოციაცია მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის სისტემა პანდემიის მესამე ტალღას ვერ გაუძლებს. კლინიკების ასოციაციაში აცხადებენ, რომ პრევენციული ღონისძიებების სათანადოდ დაცვის გარეშე დიდია მუტაგენური ვირუსის (ახალი შტამის) საქართველოში გავრცელების რისკი.

კლინიკების ასოციაცია მთავრობას მიმართავს და მოუწოდებს, გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

1) ვირუსით ინვაზირების შემცირების მიზნით სასურველია, საქართველოს ყველა ქალაქსა თუ სოფლად დროულად დაიწყოს მოსახლეობის ტესტირება „კარდაკარის“ პრინციპით, რის განხორციელებაშიც სამედიცინო პერსონალს უნდა დაეხმაროს თავდაცვის სამინისტროს და ეროვნული გვარდიის სანინსტრუქტორთა ჯგუფები;

2) ვირუსის მოსალოდნელი ახალი ტალღის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი გახდება თავდაცვის სამინისტროს აქტიური ჩართულობა, ამიტომ დროულად უნდა მოხდეს სამხედრო საველე ჰოსპიტლების მობილიზაცია და მათი სათანადოდ აღჭურვა;



3) მნიშვნელოვანია, მინიმუმ სამი კვირით გადაიდოს ყველა სახის საჰაერო ფრენები და ვიზიტორთა მიღება ევროპის ქვეყნებიდან;

4)აუცილებელია, უფრო მეტად გამკაცრდეს კონტროლი საბაჟოზე და საზღვარზე შემომსვლელთა მიმართ;

5) საშობაო ლიტურგიის პერიოდში რეკომენდებულია, მკაცრად დავიცვათ 2-მეტრიანი დისტანცია, გამოვიყენოთ პირბადე (როგორც სასულიერო ისე საერო პირებმა) და საზიარებელი ლითონის კოვზი თითოეული ზიარების შემდეგ გაწმენდილი იქნას ერთჯერადი სპირტიანი ხელსახოცით ან დამუშავდეს მაღალპროცენტული (96%-ნი სწრაფად აქროლადი) ეთილის (სამედიცინო) სპირტით;“, — ნათქვამია ასოციაციის მიმართვაში.

ბოლო 24 საათის (6 დეკემბრის მონაცემი) განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 14 839 კვლევა ტესტით, მათ შორის 8 253 კვლევა ანტიგენის ტესტით და 6 586 PCR ტესტით.

ჯამში, საქართველოში ვირუსით ინფიცირების 233 879 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან, 223 276 ადამიანი გამოჯანმრთელდა, ხოლო 2 666 გარდაიცვალა.

გოჩა ლორთქიფანიძე: პენიტენციურ სისტემაში ეპიდ-ვითარება კონტროლს სრულად ექვემდებარება

პენიტენციურ სისტემაში კორონავირუსის გამოვლენის თვალსაზრისით შეშფოთების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამის შესახებ საკორორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე გოჩა ლორთქიფანიძემ განაცხადა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, რამდენიმე დღის განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე დღეა დეზინფორმაცია ვრცელდება.

„მინდა, ყველა დაგამშვიდოთ იმიტომ, რომ ვითარება სრულად ექვემდებარება კონტროლს, როგორც ექვემდებარებოდა აქამდე. ყველა კონტროლის მექანიზმი და ფილტრი, რაც ემსახურება კოვიდ-ვირუსის პრევენციას, მის გამოვლენას, ასევე კონტროლს და ვითარების მართვას, კვლავ მოქმედებს ეფექტიანად, როგორც აქამდე მოქმედებდა და ეს აღინიშნება იმ გატარებულ ღონისძიებებში, რომლებიც ჩვენ გავატარეთ ამ ბოლო დღეებში. გამომდინარე შექმნილი ეპიდემიური ვითარებიდან ქვეყანაში, პენიტენციურმა სისტემამ პატიმრების ინტენსიური PCR ტესტირება დაიწყო. ეს ჩვენ დავიწყეთ 31 დეკემბრიდან და გეგმაზომიერად მივყვებით. პირველ რიგში ამას დაექვემდებარა არასრულწლოვნების პენიტენციური დაწესებულება, სადაც ყველა ტესტი იყო უარყოფითი. შემდეგ გადავედით ქალთა დაწესებულებაზე, სადაც ასევე ჩატარდა PCR ტესტირება და 23 შემთხვევაში დადასტურდა კოვიდი. ყველა იზოლირებულია, ასევე მათი კონტაქტები, თანამესაკნეები არიან იზოლირებული. ყოველ ამ შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება და სისტემა ეფექტიანად ფუნქციონირებს“, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ქრისტეშობა

7 იანვარს მთელი მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო, საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად შობას.

...ღვთის აღთქმის დარღვევის გზით, როდესაც სამოთხიდან განიდევნენ ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმოწყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო.

ამ აღთქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „თესლი დედაკაცისასა დათრგუნავს თავსა გველისასა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ პატრიარქმა იაკობმა იწინასწარმეტყველა, რომ იუდას ტომი სკიპტრას დაკარგავდა. წინასწარმეტყველმა დანიელმა გვაუწყა, რომ ქრისტეს მეუფება დადგება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება სამეფო სამყარო, როგორც რკინა, რომელიც ყველაფერს დააქცევს და დაარღვევს და რომ ქვეყნიერების მხსნელი იერუსალიმის აღდგენის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან სამოცდაათი შვიდეულის შემდეგ მოევლინება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს ბეთლემისკენ. ბეთლემში იყო ღვთის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად სამართლიანად იწოდებოდა. ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს.

ბეთლემიდან ჩრდილოეთით, კლდეებს შორის, გამოქვაბულში წმინდა მგზავრებმა თავი შეაფარეს... აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება. „აი, ვინ დაივანებს მაღალში, კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი საფარი“.

სწორედაც, რომ ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისგან შობილი უხრწნელი შვა და „მიაწვინა იგი ბაგასა“.

...როდესაც ყოვლადწმინდამ თავისი ძე და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლივ უფლის სამსახურს შეუდგა, სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა... პირველმა მან სცა თაყვანი; ასევე მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმინდა დედას და მის ძეს — ჩვენს ღმერთს!

სრულიად საქართველოს ვულოცავთ იმ წმინდა ღამეს მომხდარ სასწაულს — ქრისტეს შობას.

გიული ლიპარტია

საინტერესო და უცნაური ფაქტები შობის შესახებ

შობა ყველაზე საზეიმო დღესასწაულად მიიჩნევა მსოფლიოში. შობის შესახებ მსოფლიოში გვევრი უცნაური და საინტერესო ფაქტი არსებობს, რომელთა შესახებაც გვევრმა არაფერი იცის. შობის დღესასწაულს გვევრი კარგი ტრადიცია უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი კარგად ნაცნობია, ზოგიერთი კი — ნაკლებად.

1. მთელ ცივილიზებულ სამყაროში შობას აღნიშნავენ 25 დეკემბერს, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა აგრძელებს შობის აღნიშვნას ე.წ. ძველი სტილის მიხედვით — 7 იანვარს. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მართლმადიდებლური ეკლესია იყენებს დიდი ხნის მოძველებულ იულიუსის კალენდარს, რომელიც იულიუს კეისარმა შემოიღო. ევროპამ ჯერ კიდევ 500 წლის წინ თქვა უარი ამ კალენდარზე მის ცდომილებათა და უზუსტობათა გამო და 1582 წელს გადავიდა უფრო ზუსტ, გრიგორიანულ კალენდარზე. იულიუსის კალენდრის მიხედვით, შობა ემთხვევა 7 იანვარს, ხოლო ახალი წელი — 14 იანვარს;

2. 1917 წლის რევოლუციის შემდგომ რუსეთში და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირში შობა აკრძალული იყო. ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო დღე. შობის აღსანიშნავად სახარებისეული რწმენის ქრისტიანები მსახურებას დილის 6 საათზე ატარებდნენ, რათა ეკლესიაში წასვლა სამსახურში წასვლამდე მოესწროთ. დასავლეთ უკრაინის ბევრ პროტესტანტულ ეკლესიაში ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა;

3. დღეს ბევრ მუსლიმანურ, ბუდისტურ და კომუნისტურ ქვეყანაში შობა აკრძალულია;

4. მიუხედავად ყველა დევნისა და აკრძალვისა, შობა ის დღესასწაულია, რომელსაც ყველაზე მეტად აღნიშნავენ მსოფლიოში, ის არის ყველაზე მასშტაბური და საზეიმო დღესასწაული დედამიწაზე! და როგორც არ უნდა ცდილობდნენ გარკვეული ადამიანები, რომ „შობას“ სხვა სახელი დარქვან და შეცვალონ სიტყვა „Christmas“ (შობა) სიტყვით „Holiday“ (დღესასწაული), არაფერი გამოუვათ;

5. ბავშვებისთვის საშობაოდ საჩუქრების ჩუქების ტრადიცია წარმოიშვა ბიბლიური ისტორიიდან, რომლის მიხედვითაც, აღმოსავლეთიდან მოსულმა მოგვებმა ყრმა იესოს ძღვენი მიართვეს.

6. პოლ მაკარტნი იმ საშობაო სიმღერისთვის, რომელიც კრიტიკოსებმა მის ყველაზე ცუდ სიმღერად შერაცხეს, ყოველ წელს ნახევარ მილიონ დოლარს გამოიმუშავებს;

7. თითქმის ყველა საშობაო სიმღერა, მათ შორის Winter Wonderland, „Chestnuts roasting“, და I'm Dreaming of a white Christmas ებრაელმა ხალხმა დაწერა;

8. ინგლისური სიტყვა Christmas წარმოადგენს ორი სიტყვის გაერთიანებას: Christ, რაც ნიშნავს მესიას და mass, რაც ნიშნავს ევქარისტიას, ანუ უფლის სერობას;

9. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საშობაო სიმღერა Carol of the Bells დაწერილია უკრაინელი მუსიკის მასწავლებლის, ნიკოლაი ლეონტოვიჩის მიერ 1901 წელს.

10. სიტყვა Noel, რომელიც ხშირად გამოიყენება ინგლისურ ენაზე დაწერილ საშობაო სიმღერებში, ფრანგულად „შობას“ ნიშნავს.

11. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, ისეთებში, როგორებიცაა — საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი და გერმანია, საშობაოდ საჩუქრებს მხოლოდ ბავშვები როდი იღებენ. სახელმწიფო ყველა დასაქმებულისათვის უზრუნველყოფს საშობაო ბონუსს, რომელიც თვიური ხელფასის ტოლია;

12. 1914 წელს, პირველ მსოფლიო ომში, შობის დღესასწაულის დროს საომარ ფრონტზე დროებითი ზავი დაიდო. მოწინავე ხაზის ჯარისკაცებმა ცეცხლი შეწყვიტეს, მორთეს თავშესაფრები, გაცვალეს საჩუქრები და ერთმანეთთან ფეხბურთიც ითამაშეს;

13. 2010 წელს, კოლუმბიის მთავრობამ ტყის ხეები საშობაო განათებით მორთო. როცა ტყეში გახიზნულმა ტერორისტებმა ამ ხეებთან ჩაიარეს, შუქები აინთო და სპეციალურ ბანერებზე გამოჩნდა ტექსტი, რომელიც მათ იარაღის დაყრისკენ მოუწოდებდათ. 331 ტერორისტი სახლში დაბრუნდა და კამპანიამ ყველაზე სტრატეგიული მარკეტინგის ჯილდო მოიპოვა.

„2020NEWS“

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ – ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ თუ არა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო? შეიძლებოდა (და ჯერ კიდევ შეიძლება, თუ გამოვიღვიძებთ, გამოვფხიზლდებით და გონს მოვეგებით)! აფხაზეთში ხომ თვალწარმტაცი ბუნებაა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული კლიმატი, უამრავი სასარგებლო წიაღისეული, წყლის სიუხვე, ნოყიერი ნიადაგი – ყველაზე ეგზოტიკური მცენარეებისთვისაც კი... რატომ არ უნდა გახდე ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეფექტური მწარმოებელი, ტურისტული სამოთხე, ინვესტიციების კუთხით მიმზიდველი ადგილი, რომელშიც რეალურად ჩადებენ ინვესტიციებს საერთაშორისო კომპანიები (რაღაც მკარნახობს, რომ ნაურუელ და ვენესუელელ ინვესტორებს აქ კიდევ მინიმუმ, 100 წელი არ უნდა ველოდოთ)?

მაგრამ აფხაზეთი სხვა გზით წავიდა – საკუთარი მომავალი სრულად მიანდო რუსეთს, რომელთანაც 2014 წელს თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება გააფორმა, შარშან, 12 ნოემბერს კი – დამატებით „ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამაც კანონმდებლობების ჰარმონიზების საფუძველზე“. ახლა, თუ იმით ვიმსჯელებთ, რითაც „დაგვაიმედა“ 3 დეკემბერს ჩვენმა პრეზიდენტმა (განაცხადა რა, ფაქტობრივად, რომ რუსეთის გარეშე, რომც მოვინდომოთ, უკვე ვეღარ გადავრჩებით), ერთადერთი, რაც წინ გველის, რუსეთის „მეგობრების“ მორიგ ალიანსში – ანუ ჩვენნაირივე წარუმატებელი ქვეყნების ახალ საკავშირო სახელმწიფოში გაწევრიანებაა, რომელსაც „სტრატეგიული პარტნიორი“ თავის ინტერესებში ქმნის!

ეს როგორ? როგორ მივედით ამ მდგომარეობამდე ასეთი სასტარტო კაპიტალით? როგორ მოვახერხეთ, აქამდე რომ ნანგრევებში ვცხოვრობთ და ზამთრობით უდენოდ ვიყინებით? როგორ დავუშვით, რომ ჩვენი ნოყიერი მიწები დაუმუშავებლადაა მიგდებული, უმუშევრობა კი ჰყვავის და ახალგაზრდობას აპათიასა და ნარკომანიას აჭმევინებს? რაშია საქმე? საქმე კი სულ მცირედშია – კანონების სისტემატიურ დარღვევაში, კორუფციაში, რუსულ ფინანსურ ნემსზე ჯდომასა და, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკაში. ასე იყო წინა ხელისუფლებების დროს, ასეა ახლაც.

რით გამოიჩინა თავი გასული ერთი წლის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებამ? სტრატეგიული პარტნიორის წინაშე კუდის წარუმატებელი ქიცინით, ელექტროენერგიის მარაოსებრი გათიშვებით, იმ ელემენტარული საკითხების გადაჭრის უუნარობით, რომლებიც მანამდე ასე თუ ისე წყდებოდა აფხაზეთში? სადაა ყველაფერი ის, რასაც გვპირდებოდნენ რევოლუციისა და ახალი არჩევნების შემდეგ?! გასაგებია, რომ ყველაფერი ერთბაშად ვერ მოგვარდებოდა, მაგრამ პოზიტიურ ძვრებზე რაღაც მინიშნებები ხომ მაინც უნდა ყოფილიყო? – ჩვენ მათ ვერ ვხედავთ! სამაგიეროდ ვხედავთ ნიშნებს ნეგატიურის, კერძოდ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და ყოველგვარი გაბრძოლების გარეშე ჩვენი „სტრატეგიული მეგობრის“ მიერ შთანთქმის!

დიახ, არც ადრე გვქონდა მარტივი და ლაღი ცხოვრება, მაგრამ რუსეთიდან ტურისტული ნაკადის შედეგად მიღებული შემოსავლები ინვესტპროგრამასთან ერთად მეტ-ნაკლებად მაინც უზრუნველყოფდა ჩვენს გადარჩენას, გვაძლევდა ეკონომიკის თუნდაც მიზერულად განვითარებაზე საუბრის საფუძველს, თუნდაც მცირე ხელფასებისა და პენსიების გაცემის საშუალებასა და უკეთესი მომავლის თუნდაც მცირე იმედს. განვითარების კოლოსალური პოტენციალის მქონე ქვეყანა მეტ-ნაკლებად თავს ირჩენდა. მაგრამ პოტენციალი პოტენციალად რჩებოდა, მიზეზი კი უდავოდ პოლიტიკაა: **იზოლაციის პირობებში განვითარება შეუძლებელია. ეს აძსიომაა – და რუსი „სტრატეგიული მეგობარი“ ამას მარჯვედ იყენებდა, ხუჭავდა რა საკუთარ ინტერესებში თვალს აფხაზი ჩინოსნების გაუმაძღრობაზე და სულ უფრო მეტად სვამდა რა აფხაზეთს გადმოგდებული ფინანსური ნამცეცების ნემსზე, რათა საჭირო მომენტში ჩვენგან საფასური – აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა მოეთხოვა!**

და აი, მომენტი მოახლოვდა: რუსეთის ფინანსური დახმარება შეწყდა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები დავიდა იმ დონემდე, რომ აფხაზეთი „მეგობარი“ სახელმწიფოსთვის გასაღების ბაზრადაა ქცეული... ახლა უკვე შეიძლება, საკუთარ ინტერესებს მოარგონ კანონმდებლობაც რესპუბლიკისა, რომელიც დამოუკიდებლიდან დამოკიდებულ, „სტრატეგიული პარტნიორის“ წინაშე კუდის მოქიცინე ქვეყნად აქციეს! ვისაც თანამედროვე რუსეთი ეხმარება, ჯერ არასოდეს ყოფილა კარგად. და აფხაზეთში ეს უკვე ბევრს ესმის.

პირველ ხანებში ეს თითქოს ახალ პრეზიდენტ ასლან ბჟანიასაც ესმოდა. მისი სიტყვები საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე ეკონომიკური მიზანშეწონილობითა და სტრატეგიული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ამას შეეძლო, ჩვენს ქვეყანას ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლაში, საკუთარი მოქალაქეებისთვის ღირსეული ყოფის შექმნაში დახმარებოდა განვითარებადი ეკონომიკის, ინვესტიციების, ხელსაყრელი ბიზნეს-პირობების წყალობით. მაგრამ არა! აფხაზეთის ახალმა მმართველებმა, რომლებიც არჩევნებზე ათას რამეს დაგვპირდნენ, იმედი სასწაულზე დაამყარეს და არაფერი შეასრულეს. სასწაული არა და არ ხდებოდა – ალბათ, იმიტომ, რომ სასწაულები არ ხდება! თუმცა არა – პირადად მათთვის ნამდვილად მოხდა – მათ იღებენ კრემლში, სადაც ზუსტად ასევე არიგებენ დაპირებებს.

არადა, უკვე ახლა, მრავალი მაგალითის წყალობით ცხადია და ნათელი, რომ რუსი ჩინოსნები, მიაღწიეს რა აფხაზური კანონმდებლობის მათ ინტერესებში შეცვლას, არც მომავალში მისცემენ აფხაზეთს განვითარების საშუალებას და რომ თუ მათ მიერ ნაკარნახევი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება, ჩვენ რუსეთის ფედერაციის აფხაზურ ოლქად ვიქცევით! ამას გვპირდებოდა არჩეული პრეზიდენტი? ეს სურდათ ჩვენს გმირებს, რომლებმაც დამოუკიდებლობას სიცოცხლე შესწირეს?! რუსეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მრავალწლიანი ტრანშების საფასურად ახლა სხვის მიერ ნაკარნახევი კანონებით უნდა ვიცხოვროთ, – ასეთია ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორისა“ და პრეზიდენტის ლოგიკა? ჩვენს კონსტიტუციასაც შეცვლიან, როგორც ამასწინათ „ჩაგვისწორეს“ რუსეთში? მეტისმეტად დიდი ფასი ხომ არაა მორიგი მოწყალებისთვის, რომელსაც მაშინვე მიითვისებენ ისინი, ვინც ითხოვდა და ყველაფერს თანხმდებოდა?!

სად გაძრა პრეზიდენტისა და მთავრობის ჟინი? სადაა მათ მიერ სულ ახლახანს გაჟღერებული გონივრული ინიციატივები საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე, რომელთა რეალიზება მნიშვნელოვნად და ეფექტურად იმოქმედებდა აფხაზეთის ეკონომიკაზე, შესაძლებლობას მისცემდა ჩვენს სახელმწიფოს, ნაბიჯ-ნაბიჯ დაეწყო სვლა ნორმალური ეკონომიკური განვითარებისკენ? სამწუხაროა, რომ პრეზიდენტმა გადაიფიქრა რიგი ეკონომიკური ნოველების რეალიზება. დამთრგუნველია მოახლოებული ჩიხი, მაშინ, როცა ქვეყანას გამოსავალი გააჩნია, მაგრამ ხელს უშლიან, გადადგას ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ!

„სტრატეგიულმა პარტნიორმა“ პარტნიორობაში თავისი სტრატეგიის გადახედვა გადაწყვიტა, ხოლო მეორე პარტნიორის ახალი წარმომადგენელი ყველაფერზე თანახმაა. ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ თავის დაპირებებს ის არც ამ საკითხში შეასრულებს, ისევე, როგორც არაფერი შეასრულა წინასაარჩევნო დაპირებებიდან.

რინატ ქვარჩია

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲝᲠᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲞᲐᲠᲐ, ᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ? – ოკუპირებულ ახალგორში ახალი წლის მილოცვის ნაცვლად ერთმანეთს იმას ეკითხებიან, დაბა ვინ დატოვა და ადგილზე ვინ დარჩა.

სახელებს აღარც ახსენებენ, გვარებით მოიხსენიებენ წამსვლელებსაც და დამრჩენებსაც. ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი ამბობს, რომ გვარები ქართულიცაა და ოსურიც. მისი თქმით, დაბის მოსახლეობა უკვე განახევრებულია.

ახალგორიდან ორიოდ კილომეტრში მდებარეობს სოფელი ბოლი. 2002 წლის აღწერით სოფელში 212 ადამიანი ცხოვრობდა, დღეს კი ათამდე ოჯახია დარჩენილი. რუსუდან მორბედაძე წარმოშობით სოფელ ბოლიდანაა. მას ახლა სულაც არ უხარია ახალი წლის მოსვლა და მხოლოდ შვილების განწყობის ამაღლებაზე ფიქრობს. მისი საახალწლო მოგონებები ოკუპირებულ ბოლს უკავშირდება, ახალი წელი კი მისთვის თოვლთან ასოცირდება. ბოლში დიდი თოვლი მოდიოდა, წეროვანში კი აღარ თოვს. რუსუდანი ბავშვობის მოგონებებით ცხოვრობს. ოკუპაციის ხაზს მიღმა ახალ წელს ბიძას და ბიცოლებს მიულოცავს, გზის გახსნას და ერთმანეთთან შეხვედრას ისურვებენ.

სოფიო ბერიანიძე ახლა ფრეზეთის დასახლებაში ცხოვრობს. ის ახალგორიდან 2008 წლის ომის შემდეგ გამოვიდა. ყოველ ახალ წელს დაბაში გატარებულ დღესასწაულებს იხსენებს და იქიდან წამოყოლილ მეკვლეობის ტრადიციას არ ღალატობს. სოფიოს ახალგორში მეგობარი დარჩა. იქ ტელეფონს ყველგან მიღება არა აქვს, ამიტომ მეგობარმა სპეციალური ადგილი უნდა შეარჩიოს, რომ კონტაქტი შედგეს, ეს კონტაქტი კი სულ უფრო იშვიათი ხდება.

ლელა გვრიტიშვილმა ოკუპირებული ახალგორი 2019 წლის სექტემბერში დატოვა და მას შემდეგ ჩაკეტილი გზის გამო უკან ვეღარ დაბრუნდა. ამბობს, რომ დაბაში გატარებულ წლებს სხვა ხალისი ჰქონდა, თუმცა ეს ომამდე იყო, ომის შემდეგ კი იზოლირებული დაბა მხოლოდ გაჭირვების, გაყოფილი ოჯახების, ავადმყოფობისა და ტრაგედიების სიმბოლოდ იქცა, ამიტომ წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებლებსაც ნაკლებად აქვთ საზეიმო განწყობა, რადგან მათი ნათესავები ოკუპაციის ხაზს მიღმა უმძიმეს მდგომარეობაში არიან.

ახალგორელების მთავარი საახალწლო სურვილი გზის გახსნაა. გზა ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან მისასვლელად სჭირდებათ. ხანში შესულებს გზა პენსიის ასაღებად და ექიმთან მისასვლელად უნდათ, ახალგაზრდებს კი - განათლებისა და განვითარებისთვის, თუმცა ეს გზა, 15 თვეა უკვე, ჩაკეტილია. დე ფაქტო ხელისუფლება ახალგორელებს იზოლაციაში ამყოფებს, იზოლაციას კი ბევრი ვეღარ უძლებს. ნაწილი წითელი ჯვრის დახმარებით სამედიცინო კლინიკებში გადმოჰყავთ, 50-მა ადამიანმა ოჯახების გაერთიანების პროგრამით ისარგებლა და ასე გამოვიდა, ნაწილი გამოიპარა, ნაწილი კი გარდაიცვალა. ჩაკეტილი გზისა და სამედიცინო სერვისზე ხელმიუწვდომლობის გამო, 20-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ახალგორის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი აცხადებს, რომ ეს ადამიანები ბიბილოვის პოლიტიკის მსხვერპლნი არიან.

ახალგორელები თავს მიტოვებულებად გრძნობენ და თანაბრად აკრიტიკებენ როგორც დე ფაქტო, ისე საქართველოს ხელისუფლებას. ოკუპირებული დაბა, 1 წელი და 3 თვეა, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩაკეტილია. იზოლაციაში დარჩენილი პენსიონრებისთვის გზა თბილისისკენ მხოლოდ ერთხელ გაიხსნა. დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ახალგორის იზოლაციის მოხსნას და გზის გახსნას ჩორჩანა-წნელისის კრიზისის მოგვარებამდე არ აპირებს.

გოგა აფციაური,
რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი შიდა ქართლში.



შვარცენეგერი ტრამპის წინააღმდეგ

დონალდ ტრამპის მცდელობებს, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები შეცვალოს, კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი „სრულ სიგიჟეს“ უწოდებს.

მისი თქმით, არანაირი საფუძველი იმისა, რომ ჯოზეფ ბაიდენის გამარჯვებაში ვინმემ ეჭვი შეიტანოს, არ არსებობს და თეთრი სახლის ლიდერმა აბსურდი უნდა შეწყვიტოს. დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ პენსს არჩევნების შედეგების გადახედვის უფლებამოსილება აქვს. მოგვიანებით გამოცემა The New YorkTimes-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც პენსმა თეთრი სახლის ლიდერს არჩევნების შედეგების გადახედვაზე უარი უთხრა. ტრამპმა ამ ინფორმაციას ფეიკ-ნიუსი უწოდა.

ორი პრეზიდენტი და ორი პარლამენტი

ვენესუელაში ახალმა ეროვნულმა ასამბლეამ ფიცი დადო. ალტერნატიულ პარლამენტში მოქმედი პრეზიდენტის ნიკოლას მადუროს სოციალისტური პარტიის წევრები არიან წარმოდგენილი.

ქვეყნის კიდევ ერთი, საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული პრეზიდენტი ხუან გუაიდო კი ალტერნატიულ პარლამენტს კანონგარეშედ აცხადებს და მხოლოდ ძველი მოწვევის პარლამენტის ლეგიტიმურობას ცნობს. პარლამენტი ვენესუელაში დღემდე ერთადერთი ორგანო იყო, რომელიც გუაიდოს მომხრეებით იყო დაკომპლექტებული და მადუროს კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

პოლიტიკური კრიზისი ვენესუელაში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, რომლის შედეგებიც ოპოზიციამ არ აღიარა. 2019 წლის იანვარში ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ თავი პრეზიდენტად გამოაცხადა. მისი უფლებამოსილება მსოფლიოს 50-ზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომაც აღიარა.

ირანი სეულს ემუქრება

სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალების ნაწილი შევიდა ორმუზის სრუტის სიახლოვეს, რათა მოახდინოს ზეწოლა ირანის მთავრობაზე, რომელმაც უნდა გაათავისუფლოს სამხრეთ კორეის კუთვნილი ტანკერი.

ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ კონტროლი დაამყარეს და ხელში ჩაიგდეს სამხრეთ კორეული ხომალდი, Hankuk Chemi ეკიპაჟის 20 წევრთან ერთად. ირანულმა მხარემ აღნიშნული ღონისძიების მიზეზად დაასახელა „სპარსეთის ყურის ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურება“. Choi Young-ის საესკადრო ნაღმოსანი, რომლის ბორტზეც ანტი-მეკობრეთა დანაყოფი იმყოფება, სამშაბათს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ომანის ყურის ტერიტორიას მიუახლოვდა. სამხრეთ კორეის მთავრობის მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სამხედრო ოპერაციის ჩატარებისათვის აუცილებელი გეგმები, რათა გაათავისუფლონ ტყვეობაში მყოფი 5 სამხრეთ კორეელი, 11 მიანმარელი, 2 ინდონეზიელი და 2 ვიეტნამელი.

კიმ ჩენ ინს განვითარების გეგმა ჩაუვარდა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი აღიარებს, რომ ეკონომიკური განვითარების 5-წლიანმა გეგმამ ვერ გაამართლა. ამის შესახებ მან შრომის პარტიის ყრილობაზე განაცხადა.

კიმ ჩენ ინის თქმით, გეგმა ყველა მიმართულებით ჩავარდა, რის გამოც ახალი, უფრო რეალისტური 5-წლიანი გეგმის შემუშავებაა საჭირო. წელს კიმ ჩენ ინს მოსახლეობისთვის არც საახალწლო მიმართვა ჩაუწერია. ამის ნაცვლად მან თანამოქალაქეებს მისალოცი ბარათები გაუგზავნა.

მორეულ მომავალში დედამიწაზე უზარმაზარი სუპერ-კონტინენტი წარმოიქმნება?!



სუპერკონტინენტები, ხმელეთის გიგანტური მასები, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა კონტინენტისგან შედგებოდა, 200 მილიონი წლის შემდეგ შეიძლება დედამიწაზე შეიძლება კვლავ გამოჩნდეს, რასაც დრამატული გავლენა ექნება ჩვენი პლანეტის კლიმატზე.

ცოტა ხნის წინათ, სუპერკონტინენტთა გადაწყობის შედეგად, მეცნიერებმა დედამიწის შორეული მომავლის მოდელი შექმნეს; შედეგები ამერიკის გეოფიზიკური კავშირის (AGU) ყოველწლიურ შეხვედრაზე წარმოადგინეს.

შეისწავლეს ორი სცენარი: პირველ სცენარში, 200 მილიონი წლის შემდეგ, თითქმის ყველა კონტინენტი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გადმოდის, სამხრეთში მხოლოდ ანტარქტიდა რჩება. მეორე სცენარში კი, დაახლოებით 250 მილიონი წლის შემდეგ, სუპერკონტინენტი ეკვატორის მიდამოებში ყალიბდება და ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში ვრცელდება.

ორივე შემთხვევაში, სუპერკონტინენტთა ტოპოგრაფიაზე დაყრდნობით, მეცნიერებმა გლობალურ კლიმატზე გავლენა დაიანგარიშეს.

ძალიან გაუკვირდათ იმის აღმოჩენა, რომ როდესაც კონტინენტებმა თავი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მოიყარა და მათი რელიეფი მთიანი იყო, გლობალური ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე სხვა მოდელების შემთხვევაში. მეცნიერთა განცხადებით, ამგვარმა შედეგმა შეიძლება გამოიწვიოს დედამიწის ისტორიაში ჯერ არნახული გამყინვარება, რომელიც სულ მცირე 100 მილიონი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

დედამიწის კონტინენტები ყოველთვის ისე არ გამოიყურებოდა, როგორც დღესაა. კვლევის ავტორის, NASA-ს ფიზიკური მეცნიერის **მაიკლ ვეის** განცხადებით, გასული 3 მილიარდი წლის განმავლობაში, პლანეტამ მრავალციკლიანი პერიოდები განვლო, რომლებშიც კონტინენტები ჯერ ერთად იყრიდა თავს და სუპერკონტინენტებს წარმოქმნიდა, შემდეგ კი კვლავ იშლებოდა.

ყველაზე ბოლო სუპერკონტინენტი იყო პანგეა, რომელიც დაახლოებით 300-200 მილიონი წლის წინ არსებობდა და მოიცავდა დღევანდელ აფრიკას, ევროპას, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას.

პანგეამდე, დაახლოებით 900-700 მილიონი წლის წინ არსებობდა სუპერკონტინენტი როდინია, მანამდე კი იყო ნუნა, დაახლოებით 1,6 – 1,4 მილიარდი წლის წინ.

შორეული მომავლის სუპერკონტინენტთა მოდელირება მეცნიერთა კიდევ ერთმა ჯგუფმა მოახდინა. სუპერკონტინენტი, რომელსაც მათ „აურიკა“ უწოდეს, ეკვატორთან შეგროვებული კონტინენტების შეერთების შედეგად 250 მილიონ წელიწადში წარმოიქმნება, ჩრდილოეთ პოლუსთან კი გაჩნდება სუპერკონტინენტი „ამაზია“.



ახალ კვლევაში, ვეიმ და მისმა ჯგუფმა აურიკისა და ამასიის ხმელეთის მასები და სხვადასხვა ტოპოგრაფია აიღო – ძლიერ მთიანი; ბრტყელი და ზღვის დონესთან ახლოს; ძირითადად ბრტყელი, მაგრამ გარკვეული მთებით, შემდეგ კი ყველა ეს მახასიათებელი შეიყვანა მოდელში, სახელად ROCKE-3D.

ფილების ტექტონიკის დამატების შემდეგ, დროთა განმავლობაში დედამიწის ცვლილებებზე დაყრდნობით, მოდელმა პლანეტის შორეული მომავალი გამოთვალა. მაგალითად, 250 მილიონი წლის შემდეგ, დედამიწა ამჟამინდელზე ოდნავ ნელა იბრუნებს, რაც მოდელმაც მიიღო მხედველობაში.

„დროთა განმავლობაში დედამიწის ბრუნვის მაჩვენებელი იკლებს; თუ 250 წლით მომავალში გადაიწევს, დღის ხანგრძლივობა 30 წუთით გაიზრდება და ამიტომ, მოდელში ესეც შევიტანეთ, რათა გვენახა, ექნებოდა თუ არა მას რაიმე ეფექტი“, – ამბობს ვეი.

მისივე განცხადებით, 250 მილიონი წლის შემდეგ ოდნავ მოიმატებს მზის სიკაშკაშეც, რადგან დროთა განმავლობაში მზე თანდათან უფრო კაშკაშდება. მოდელში ეს ფაქტორიც შეიტანეს და შესაბამისად, გაიზარდა პლანეტაზე მოღწეული რადიაციის რაოდენობა.

მათ მოდელში ყველაზე მოულოდნელი შედეგი ის აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაჩენილი სუპერკონტინენტი ამაზია მთიანი იქნება, გლობალური ტემპერატურა თითქმის 4 გრადუსი ცელსიუსით დაიწევს.

ამის მიზეზი ძირითადად ყინულის ძლიერი ალბედო (არეკვლის მაჩვენებელი) იყო. ჩრდილოეთის ამ სუპერკონტინენტის მაღალმთიანეთი ზამთარ-ზაფხულ თოვლითა და ყინულით იქნება დაფარული, რაც ზედაპირის ტემპერატურას რამდენიმე გრადუსით დაბლა დასწევს, ვიდრე სხვა სცენარების შემთხვევაში.

შედარებისათვის – უფრო ნაკლებად მთიანი ამაზიის შემთხვევაში, წარმოიქმნა ტბები და შიდა ზღვები. ატმოსფერული სითბო მათ ეკვატორიდან ჩრდილოეთით წაიღეს, რამაც თოვლი და ყინული სეზონურად გაადნო და მიწა მუდმივად გაყინული აღარ იყო.

დღეს დედამიწაზე ოკეანის ცირკულაციას სითბო შორეულ ჩრდილოეთ რეგიონებში გადააქვს, გრენლანდიის გარშემო და ბერინგის სრუტის გავლით. თუმცა, მას შემდეგ რაც სუპერკონტინენტი წარმოიქმნება და ეს გზები ჩაიკეტება, ვეის განცხადებით, დაბალ განედებში ვეღარ მოხვდება სამხრეთიდან წამოსული ეს ოკეანური სითბო.

დედამიწის ბოლო გამყინვარების ხანა რამდენიმე ათეულ ათას წელიწადს გაგრძელდა, მაგრამ ამაზიის წარმოქმნა გაცილებით ხანგრძლივ გამყინვარების ხანას მოიტანს.

„ამ შემთხვევაში, საუბარია დაახლოებით 100-150 მილიონ წელიწადზე“, – ამბობს კვლევის ავტორი, NASA-ს ფიზიკური მეცნიერი მაიკლ ვეი.

რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ყოველივე დედამიწაზე არსებული სიცოცხლისთვის? ტროპიკული დაბლობების გაქრობის შემთხვევაში, გაქრება მათში არსებული წარმოუდგენელი ბიომრავალფეროვნებაც.

თუმცა, შეიძლება გამოჩნდეს ახალი სახეობები, რომლებიც ექსტრემალურ გარემოს მოერგება, როგორც ეს მათ ადრეულ გამყინვარების ხანებშიც მოახერხეს.

მისივე განცხადებით, ასეთ სიტუაციაში, როდესაც განსაკუთრებული სიცივე პლანეტაზე 100 მილიონ წელიწადზე მეტხანს გაგრძელდება, ეს დრო სრულიად საკმარისია ევოლუციის მოქმედებისათვის.

მომზადებულია
Live Science-ის მიხედვით.
მიხეილ ჭაბუკაშვილი

◎ სეზონის სტარტზე

ტატამის ამბები

ოლიმპიური **სეზონის პირველ მსოფლიო მასტერსზე საქართველოს დელეგაცია ხვალ მიემგზავრება და სარეიტინგო ქულების მოპოვებას ყატარის ქალაქ დოჰას ტატამზე 11-13 იანვარს ასეთი შემადგენლობით შეეცდება:**

ვაჟები

60 კგ. ლუხუმ ჩხვიმიანი, თემურ ნოზაძე; **66 კგ.** ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი; **73 კგ.** ლაშა შავდათუაშვილი; **81 კგ.** ტატო გრიგალაშვილი, ლუკა მაისურაძე; **90 კგ.** ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ბექაური; **100 კგ.** ვარლამ ლიპარტელიანი; **+100 კგ.** გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი, ლევან მატიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი — ლაშა გუჯეჯიანი.

ქალები

52 კგ. ტატიანა ლევიცკა-შუკვანი; **57 კგ.** ეთერ ლიპარტელიანი.

მთავარი მწვრთნელი — გია თენაძე.

მნიშვნელოვანი სიახლეა ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელსაც ამიერიდან უფროსთა ექს-თავკაცი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე დამოძღვრავს, ხოლო ჭაბუკებთან ისევ გიორგი ყიზილაშვილი იმუშავებს.

ბეჟან დოლიძე

◎ რჩეულნი

ოვალური ბურთი – 2020



რაგბის კავშირის პრეზიდენტად ირაკლი აბუსერიძის არჩევა, „შემოდგომის ერთა თასზე“ (რვა ერზე) „ბორჯღალოსანთა“ ისტორიული დებიუტი, ექვს ერზე რუსეთთან კორონავირუსის პანდემიის გამო რამდენჯერმე გადადებული შეხვედრა...

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ ფაქტებისა, შარშანდელმა სეზონმა რომ დაიტია.

ბუნებრივია, წიწილებს მხოლოდ შემოდგომაზე არ ითვლიან და 2020 წლის რჩეულნი დეკემბრის მიწურულსაც გამოავლინეს. აი, მათი ნუსხაც:

საუკეთესო მოთამაშე — ბექა გორგაძე („ბორდოს“ 24 წლის მესამეხაზელს ზედიზედ მეორედ მიანიჭეს უპირატესობა);

წლის მელელოვე — აკაკი ტაბუცაძე („ლელო სარასენსის“ გარემარბმა 7 სანაკრებო მატჩში ბურთი მეტოქეთა ჩათვლის მოედანზე 6-ჯერ(!) დაამიწა);

სეზონის საუკეთესო ლელო — გიორგი კვესელაძე (გულშემატკივარს ყოველთვის ემახსოვრება „გლოსტერის“ დებიუტანტის მიერ ირლანდიელებთან შექმნილი შედევრი);

გუნდის ბომბარდირი — თედო აბჟანდაძე („ბრივის“ მგეზავმა 56 ქულას მოუყარა თავი, მათ შორის, ლელოსა და ჯარიმებთან ერთად მის ანგარიშზე 18 გარდასახვაა);

საუკეთესო მსაჯი — ნიკა ამაშუკელი (26 წლის არბიტრის „შემოდგომის ერთა თასზე“ მიწვევა მართლაც სარაგბო სეზონის უპრეცედენტო მოვლენაა. დაუმატეთ ამას ტოპ-14-ისა და „ჩელენჯ ქაფის“ პრინციპული ბრძოლების გაძღოლა. მოკლედ, რაც დათესა, ის მოიმკა!).

კობა კობახიძე

◎ ახალ ამპლუაში

დინასტიის სახელით

ჩემპიონთა **ლიგაში დებიუტის წინ თბილისის „დინამოს“ ქომაგებს საზრუნავი მოემატათ — ტრავმისა და სარეაბილიტაციო პერიოდის გაჭიანურების გამო ბუდაპეშტში თამაშს ვერ ახერხებდა გუნდისა და ეროვნული ნაკრების 33 წლის კაპიტანი ზურაბ რურუა.**

საბედნიეროდ, კლუბის დამფუძნებლების — **გიორგი ხვედელიანისა** და **მიხეილ ბაღათურიას** გადაწყვეტილებით, ქრისტეს ასაკის ვეტერანი უნგრეთის დედაქალაქში მაინც გაემგზავრა და, ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, როგორც მთავარმა მწვრთნელმა, გელა ტუკვაძესთან და ირაკლი გოგელიასთან თანამშრომლობით, ისტორიული პირველი გამარჯვებაც გამოჭედა.

წყალბურთში ვარჯიში 11 წლისამ მამის — ქვეყნის ნაკრების ყოფილი კაპიტნის, ამჟამად სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის დავით რურუას ზეგავლენით დაიწყო სოსო მაისურაძის ხელმძღვანელობით. კარიერის საუკეთესო წლები „ლაგუნა ვერეში“, მოსკოვის ცსკა-ში, „ლიგამუსში“, „ლოკომოტივსა“ და რუმინულ „სპორტულში“ გაატარა.

— „დინამოს“ წყალბურთის აკადემიის ჩამოყალიბების შემდეგ, თამაშის პარალელურად, ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს ვავარჯიშებდი, ასე რომ, რაღაც გამოცდილება მქონდა, — ამბობს ზურაბი.

„რაც შეეხება მონტენეგროს „იადრანთან“ მოგებას, მას ტურნირის აღიარებულ ფავორიტებთან — იტალიურ „ბრეშასთან“ და, განსაკუთრებით — კატალონიურ „ბარსელონეტასთან“ მარცხის შემდეგ ვძლიეთ, თუმცა იტალიელებს დიდი ბრძოლა გავუმართეთ. სხვათა შორის, არც ბალკანელები არიან სუსტი მეტოქეები. პირიქით — ქალაქ ჰერცეგ ნოვის „იადრანი“ ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის თასის ვერცხლის პრიზიორია!

დაუვიწყარი წარმატება სწორად შერჩეულ ტაქტიკას უკავშირდება. კერძოდ, ჩვენმა ლეგიონერებმა — სარიჩმა, რომელიც ადრე სწორედ „იადრანის“ ღირსებას იცავდა, აგრეთვე ვაპენსკიმ და ვასიჩმა დიდებულად გაართვეს თავი მონტენეგროული კლუბის მრისხანე ლიდერთა პერსონალურ მეურვეობას. მრავლისმეტყველია დაცვაში ჩვენი კარგი თამაშის შესაბამისი ფაქტიც რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების თვალსაზრისით: „დინამო“ — 7-დან 5 და „იადრანი“ — 10-დან მხოლოდ 4.

როგორც მოგეხსენებათ, „დინამო“ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბია და მასთან ერთად მოემზადება ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირისთვის (როტერდამი, 14-21 თებერვალი), იქიდან დაბრუნების შემდეგ კი კიდევ ერთ შეკრებას მოვაწყობთ და 1-5 მარტს, ისევ ბუდაპეშტში, ჩემპიონთა ლიგის მეორე რაუნდში ერთ-ერთ ფავორიტს, იქაურ „ფერენცვაროშსა“ და ფინალური ეტაპის (3-5 ივნისი) მასპინძელ ჰანოვერის „ვასპოს“ ორ-ორჯერ შევხვდებით.

სწორედ გერმანულ გუნდთან ვგეგმავთ მორიგ გამარჯვებას. ასე რომ, ევროპაში უკვე საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად ვითვლებით“.

გიორგი ფოთაძე



◎ ოკეანის გაღმა

რა დროს ფინიშია...

„ბოსტონში“ გატანილი 205 შაიბა, გოლს პლიუს შედეგიანი გადაცემის სისტემით მოგროვებული 656 ქულა, 2011 წელს გუნდის კაპიტნის რანგში შემართული სტენლის თასი და კიდევ ორჯერ — ნჰლ-ის ფინალისტობა — ასეთია 43 წლის ლეგენდარული სლოვაკი მცველის ზდენო ხარას შთამბეჭდავი ამერიკული კარიერის ძირითადი შტრიხები.

გასულ უქმეებზე ცნობილი გახდა, რომ უბერებელი ვეტერანი თავისუფალი აგენტის სტატუსით „ვაშინგტონს“ შეუერთდა, სადაც ერთწლიანი კონტრაქტის შესაბამისად 795 ათას დოლარს მიიღებს.

დედაქალაქელთა გენერალური მენეჯერი ბრაიან მაკლელანი ასეთი ძვირფასი შენაძენით აღფრთოვანებულია: **„ჩვენ ბედნიერები ვართ უმაღლესი დონის ჰოკეისტის შეძენით. ვგრძნობთ, რომ მისი გამოცდილება და ლიდერის თვისებები შესამჩნევად გააძლიერებს როგორც „კეპიტალზის“ უკანა ხაზს, ისე მთლიანად კლუბს“.**

როსტომ რაჭველიშვილი

◎ „ინკუბატორი“

რა ენაღვლებათ...

ეს-ესაა, დიეგო მარადონას ორმოცი აღინიშნა, რომ მისი შვილობის მსურველმა კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა მიმართა სასამართლოს მამობის აღიარების მიზნით.

საუბარია არგენტინის ქალთა ჩემპიონატში მოთამაშე 25 წლის ევგენია ლაპროვიტოლაზე, რომელმაც ლეგენდარული მშობლის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც პირველად შეხვდა ბიოლოგიურ დედას. როგორც ირკვევა, გოგონა ცხოვრობდა ოჯახში, რომელსაც ის ნაშვილები ჰყავდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ დანაკარგი



სიმსივნის მსხვერპლი

ახალი **წელი** **საკალათბურთო სამყარომ დიდი დანაკლისით დაიწყო — 70 წლისა ტვინის კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა დიდების დარბაზის წევრი (2019), ყველა ვარსკვლავის მატჩის ხუთგზის მონაწილე და „ბოსტონის“ შემადგენლობაში ნბა-ს ჩემპიონი (1974) პოლ უესტფალი.**

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, იგი ორჯერ ავარჯიშებდა დასავლეთის კონფერენციის ნაკრებს ყველა ვარსკვლავის შეხვედრებისათვის, ხოლო 1993 წელს „ფინიქსი“ ნბა-ს ფინალში გაიყვანა, სადაც 2:4 დამარცხდა „ჩიკაგოსთან“.

ვიტალი ჯაფარიძე

პაჩ ბარციცი – ობიექტური, ზნეკეთილი აფხაზი

ამ დღეებში გავიგეთ გულსაწყენი ამბავი: სოხუმში გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა, მეგობარი, თანატოლი **პაჩ ბარციცი**.

ის, რომ სოლიდური ასაკის გავხდით, ის, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, სამწუხაროდ, დაძაბულია, ის, რომ პანდემია გვზღუდავს, ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ის, რომ იმქვეყნად გაცილებაზე დასწრებას ვერ ვახერხებთ – წარმოუდგენლად ძნელი ასატანია.

პაჩ ბარციცთან ერთად ვსაქმიანობდით ერთხანს თბილისში. იგი იყო ზედმიწევნით მოწესრიგებული, ეთიკის ყველა – სამსახურებრივი, საზოგადოებრივი თუ ოფიციალური – მხარის ბუნებრივად (არამოჩვენებითად) დამცველი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო ეთნიკური კულტურული და ობიექტური აფხაზი. ჩვენს თაობას წარმოადგენდნენ ამჯერად წასულები, კომკავშირის მმართველი ორგანოების ნიჭიერი, უნარიანი, პატრიოტი ხელმძღვანელები – ჟიული შარტავა, მუშნი მარშანია, თამაზ ქაქუჩაია, დათო ფილია და სხვები, ვინც პაჩ ბარციცთან წლების მანძილზე აფხაზეთსა თუ თბილისში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ნამდვილად კარგ სახეს წარმოადგენდნენ.

ამჯერად, დიდი პატივისცემით მივესალმებით კარგად მყოფ აფხაზ მეგობრებს – ვალერი ხინთბას, სლავა ცუგბას, ლადო ცომაიას, ბონდო ხუნდიას და ყველას, ვისთანაც ერთადაც გავატარეთ ჩვენი ახალგაზრდობის წლები და გავიარეთ განსაკუთრებული სახელმწიფო სკოლა, მივესალმებით და თბილისიდან გამოვხატავთ მათ მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას.

არდავიწყება ჰქონდეს პაჩ ბარციცს! ამ სამგლოვიარო წერილს მივუძღვნით პაჩ ბარციცის ნათელ ხსოვნას და მივაწოდებთ მის პირად ოჯახს, ხოლო აფხაზ ხალხს ვუსურვებთ – გაგმრავლებოდეთ ასეთი პიროვნებები.

როინ მეტრეველი, ჯუმბერ პატიაშვილი, გივი აბდუშელიშვილი, ნათელა ლაღიძე, ჯემალ ბერიძე, არმაზ სანებლიძე, მერი ფაჩუაშვილი, დევი ფუტკარაძე, პავლე ქვაჩახია, ოთარ ჭითანავა.

არჩილ ჯაფარიძე

აღესრულა შესანიშნავი პიროვნება, საინჟინრო-სამშენებლო სფეროს აღიარებული მოღვაწე, ქვეყნის ღირსეული და ჭეშმარიტი მოქალაქე **არჩილ ჯაფარიძე**.

იგი დაიბადა 1940 წლის 18 სექტემბერს გამოჩენილი ქართველი ინჟინერ-მშენებლის ზურაბ ჯაფარიძის ოჯახში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა წლებში, აქტიურად საქმიანობდა სამშენებლო ასპარეზზე: სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს უფროსი (1973-1975), ტრესტ „სპეცმშენის“ უფროსის მოადგილე, შემდეგ – უფროსი (1977-1980), ტრესტ „მშენინდუსტრიის“ მთავარი ინჟინერი, შემდეგ – უფროსი (1980-1982), „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ (ტრესტი 1) უფროსი (1985), საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

როგორც მაღალი დონის პროფესიონალი არჩილ ჯაფარიძე წარმატებით მოღვაწეობდა ინდოეთსა და ირანში მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაზე, ასევე ტიუმენში. იგი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა როგორც ტაშკენტსა და სპიტაკში მიწისძვრის, ასევე ჩერნობილის ცნობილი ტრაგედიის შედეგად წარმოებულ აღდგენით სამუშაოებს.

სრულიად განსაკუთრებულია არჩილ ჯაფარიძის დამსახურება წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საქმეში. იგი, როგორც მშენებლობის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე, ერთგულად, კეთილსინდისიერად ემსახურა საუკუნის ამ უნიკალურ მშენებლობას.

არჩილ ჯაფარიძის ღვაწლი აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით – „შრომითი მამაცობისთვის“, „შრომის ვეტერანი“ და სხვ. 2004 წელს ა. ჯაფარიძე აირჩიეს საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსად, 2005 წელს – საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსად. არჩილ ჯაფარიძე იყო კეთილშობილი, საქმისათვის თავდადებული, პრინციპული, წინაპართა ღირსეული ტრადიციების მატარებელი პიროვნება, რომელმაც შესანიშნავად იცოდა მეგობრობის ყადრი. ასე იცხოვრა მან და დატოვა კარგი სახელი. მისი ხსოვნა მარად დარჩება იმ ადამიანებში, ვინც მას იცნობდა.

მეგობრები

ზაურ მოლაშხიას ხსოვნას

ლეგენდებს ჩაზრდილი ძველკოლხური ჰანგების მესაიდუმლე



საუბედუროდ, ველოდი ამ საზარელ ცნობას. თუმცა გულში იმედის მცირე ნაპერწკალი მაინც ღვიოდა, სასწაულები ხომ ხდება და იქნებ ახლაც მოხდეს-მეთქი! სამწუხაროდ, არ მოხდა. ჩემი სიყრმის მეგობარი, შესანიშნავი პოეტი, ისტორიკოსი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, უპატიოსნესი და უალესი პიროვნება **ზაურ მოლაშხია** ვერაგი კოვიდის მორიგი მსხვერპლი გახდა. წავიდა ამ ქვეყნიდან ქართული სიტყვის გამორჩეული ოსტატი, ბრწყინვალე რედაქტორი, სტილისტი და თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, რომელმაც ჩვენს სასტიკ და ულმობელ დროში, თვით ყველაზე უმძიმესი განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს შესძლო ადამიანური ღირსების შენარჩუნება, არ შეეკრა ბილწთ და დარჩა საკუთარი მრწამსისა და იდეალების ერთგული. მუშაობდა გამომცემლობებში „საბჭოთა საქართველო“ და „განათლება“, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს განყოფილებაში, დამოუკიდებლობის წლებში კი თვითონაც გამომცემელი გახდა. მას არასოდეს უფიქრია სამსახურებრივ კარიერაზე, მუშაობდა, რათა საკუთარი თავი და ოჯახი ერჩინა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისთვის მთავარი გახლდათ ზნეობრივი პრინციპები, ასეთი კაცისთვის კი, მოგეხსენებათ, აღმა მიმავალი გზა გადაკეტილი იყო. მთაწმინდის ძირში, კოტე მესხის ქუჩაზე ჰქონდა ჩიტის ბუდესავით პატარა ბინა, სადაც თავის ერთგულ მეუღლესთან ნატოსთან ერთად ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გაზარდა, დაწერა თავისი საუკეთესო კრებულები.

თანაუგრძნობდა დისიდენტურ მოძრაობას, თვითონაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ბევრ ლიდერთან და რამდენჯერმე მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩა დაპატიმრებას. ორატორი არ იყო, თავს ქაღალდთან და საწერკალამთან უფრო ლაღად და გაბედულად გრძნობდა, ვიდრე მიკროფონთან და ტრიბუნასთან, ამიტომ შესაძლოა საზოგადოებაში ისე არ ჩანდა, როგორც ბევრი ჩვენი თვითგაპიარებული კოლეგა. პირად ცხოვრებაში გამოირჩეოდა უჩვეულო მოკრძალებითა და თავმდაბლობით, თუმცა საკუთარი სიტყვის ფასი იცოდა, ამიტომაც უკომპრომისო იყო შემოქმედებაში. ზაურის პოეზია უმეტესად პატრიოტულ, ფილოსოფიურ-მედიტაციურ და საპეიზაჟო ლირიკას მოიცავს, ბევრ მის ლექსს ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად, ბევრიც მკაფიოდ ენათესავება ქართულ ზეპირსიტყვერებასა და მითოსურ ძირისძირებს, მათში მოისმის ლეგენდებს ჩაზრდილი ძველკოლხური ჰანგები და ზოგადქართული მოტივები. ზაური იყო ერთიანი საქართველოს ნამდვილი ტრუბადური და მოზარე, ტკიოდა ზვიადისა და მერაბის ბედი, ტკიოდა თავისივე მოძმეთა მიერ აოხრებული სამეგრელო, მტრისგან ვერაგულად წართმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო. და ეს ტკივილი მას სამარეში მიჰყვება. მახსოვს, როგორ მივყვებოდით მე და შენ 1966 წლის აპრილში რუსთაველის პროსპექტზე სიმონ ჩიქოვანის კუბოს, რომელსაც ზღვა ხალხი მიაცილებდა. რეპროდუქტორებიდან კი პოეტი საკუთარ ლექსებს კითხულობდა. სამწუხაროდ, დიდი ხანია, პოეტებს ასეთი პატივით აღარ კრძალავენ. შენი წასვლა კი ისედაც პანდემიის საშინელ პერიოდს დაემთხვა, როცა პროცესიები საერთოდ აკრძალულია. თუმცა ეს უკვე შენთვის არაფერს ნიშნავს. შენ და შენი ლექსები ამიერიდან მკითხველთა კუთვნილება ხდებით. მჯერა, რომ თქვენ იქ მყუდრო და მარადიული სავანე გელოდებათ.

უახლოესი მეგობრების ოთარ ჭითანავას, ნომადი ბართაიასა და პაატა ნაცვლიშვილის სახელით შენი ბავშვობის ძმა

რაულ ჩილაჩავა

უახლოესი მეგობრები ოთარ ტურაბელიძე, ნუგზარ (ბუძა) ცხოვრებაშვილი, გურამ ოდიშარია, სპარტაკ ქობულია, ბონდო ქურდაძე, მამუკა ვაშაკიძე, ზურაბ კორკოტაძე, ბექა ბალარჯიშვილი, ნუკრი ბორძიკული ოჯახებით ღრმა მწუხარებით უსამძიმრებენ ნოდარ სუმბაძეს დის, უკეთილშობილესი ქალბატონის, ცნობილი სოციალური ფსიქოლოგის, პროფესორის, მრავალი თაობის აღმზრდელის

ნანა სუმბაძის

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენო ნოდარ შენი დაიკოს სული.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია უდიდესი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებს პროფესორს ლუბა ბიბილეიშვილს მისი გაზრდილი დისშვილის, კეთილშობილი მანდილოსნის, განუმეორებელი დედისა და მეუღლის

ეკა (დარო) ლომაძის

გარდაცვალების გამო, რომელიც სამშობლოდან შორს შვედეთის ქალაქ უფსალაში ონკოლოგიური დაავადებით გარდაიცვალა. დაკრძალვა ქალაქ უფსალაში.

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი

რეზო სტურუა

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ბავშვობის, სკოლისა და ახალგაზრდობის წლებიდან ახლო მეგობარი, უაღრესად დადებითი პიროვნება, ცნობილი სპეციალისტი, ქ. ფოთში აღიარებული მოღვაწე

ზაურ მიქიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს. საზოგადოების სახელით: **სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, გივი აბდუშელიშვილი, მერაბ ზამბახიძე, პეტრე ბერაია, ჯემალ კვირტია, გულთაზ ლაბარტყავა, გია სვანიძე, ლიანა წურწუმია, იური ალანია, ბესო ძორძია, თენგიზ უჩანეიშვილი, ვახტანგ ჩიქოვანი.**

„დიდება დედოფალს“

9 იანვარს, 22 საათზე ეროვნული კინოცენტრის კინოკლუბი წარმოგიდგენთ დოკუმენტურ ფილმს „დიდება დედოფალს“, რომელიც ლეგენდარული ქართველი ქალი მოჭადრაკეების – ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის შესახებ მოგვითხრობს.

ეს იქნება პირველი საჯარო ონლაინ ჩვენება საქართველოში პრემიერის შემდეგ. ფილმის პრემიერა ცოტა ხნის წინ შედგა საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის – „სინედოკის“ ფარგლებში. „დიდება დედოფალს“ უკვე ნახეს ავსტრიაში, სერბეთსა და მექსიკაში.

60-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 30 წლის მანძილზე, მსოფლიო ჭადრაკის სამეფოს სწორედ ეს ქალები განაგებდნენ. მათ რევოლუცია მოახდინეს და ქალთა ჭადრაკი საერთაშორისო კონტექსტში ვაჟთა ჭადრაკს გაუთანასწორეს. ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

საქართველო, როგორც საპატიო სტუმარი

სერბეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ოფისსა და ბელგრადის „საერთაშორისო ეთნოლოგიური ფესტივალის“ ორგანიზატორებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად 2021 წელს საქართველო ფესტივალზე საპატიო სტუმრად წარსდგება.

აღნიშნულის შესახებ განცხადება სერბეთის რესპუბლიკის პირველმა ლედიმ თამარა ვუჩიჩმა გააკეთა, რომლის საპატიო პატრონაჟით ფესტივალი სერბეთის დედაქალაქში 2017 წლიდან ტარდება. სამდღიანი ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ქართული ეროვნული სამოსის ჩვენება, ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ასევე წარმოდგენილი იქნება ქართული ფოლკლორი. ფესტივალი მიზნად ისახავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობისა და შენარჩუნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასევე, ეთნოხელოვნების გზით ღონისძიებაში მონაწილე ქვეყნების კულტურის პოპულარიზაციას.

იყიდება ტრამპის ფერარი

ლუქს-კლასის ავტომობილი Ferrari F430, რომელიც აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს ეკუთვნოდა, Mecum Auctions-**ის აუქციონზე გაიყიდება. ავტომობილის საწყისი ფასი 400-500 ათასი დოლარი იქნება.**

2007 წელს გამოშვებული ავტომობილის მყიდველს ასევე გადაეცემა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ავტომობილის პირველი მფლობელი სწორედ დონალდ ტრამპი იყო. დოკუმენტებს ხელს თავად ტრამპი აწერს, მითითებულია მისი რეგისტრაციის მისამართიც. ავტომობილის გარბენი 6910 მილს (11 100 კმ) შეადგენს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ქართველი მხატვრის მსოფლიო აღიარება

დიდი წარმატება ხვდა წილად, ამჟამად ამერიკაში (ნიუ იორკში) მოღვაწე ქართველ ფერმწერ ირინა ჩიტაშვილს. მისი ფერწერული ნამუშევარი „დედა“ გამოიფინა იორდანიაში. ასევე ირინას გადაეცა გამოფენა „მსოფლიო ხატავს 2“-ის მონაწილის სერტიფიკატი. ამ ინტერნაციონალური გამოფენისთვის ორგანიზატორებმა 21 ქვეყნიდან 55 ფერმწერის ტილოები შეარჩიეს, რომლებიც სხვადასხვა სტილში და სხვადასხვა ტექნიკით იყო შესრულებული.

ირინა ჩიტაშვილი: „გაოცებული და ბედნიერი ვარ. გადაჭარბების გარეშე ვამბობ: ასეთი პროექტი მთელ ონლაინ სივრცეში არ მინახია. ვუყურებდი და შეგრძნება დამრჩა რომ მეც იქ ვიყავი, იმ გალერეის დარბაზებში დავდიოდი და ვათვალიერებდი ამდენ საოცარ ნამუშევარს. გამიმართლა, რომ ამდენ ნიჭიერ და აღიარებულ ცნობილ მხატვრებს შორის მოვხვდი ამ პროექტში. ამ წელს როგორი დასაწყისიც იყო ჩემთვის, სწორედ ასე მინდა მთელი წელი ასე გაგრძელდეს. სასიამოვნოდ გაოცებული ვარ, მითხრა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მარამ ჰასანმა, როცა ვუთხარი გული მიგრძნობს, რომ რაღაც კარგი პროექტი უნდა იყოს-მეთქი. მადლობა მას და მთელ გუნდს, რომ ასე შემოქმედებითად იმუშავეს და საოცრად განსხვავებული გამოფენა მოაწყვეს.

2017 წელს შექმნილი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ნამუშევარი „დედა“ არასდროს გამიტანია გამოფენაზე, ვერ მოხერხდა, ამ გამოფენაზე კი ორგანიზატორებმა თვითონ აირჩიეს... თავის დროზე ესეც იყო ჩემთვის სიურპრიზი. დიდი მადლობა იორდანიის კულტურის სამინისტროს და ორგანიზაცია „ალდაარის“ და გალერეა „ალდაარის“ ხელმძღვანელს მარამ ჰასანს“. არაბულმა პრესამ დიდი ინტერესი გამოიჩინა გამოფენის მიმართ.

რევაზ თოფურია

მალე „ოქროს გლობუსის“ ნომინანტების ნუსხა გამოქვეყნდება

მსოფლიო კინოსამყაროს ყურადღება ახლა „ოქროს გლობუსისკენ“ არის მიმართული. მაყურებელი და კრიტიკოსები სავარაუდო ნომინანტების ვინაობას უკვე აქტიურ რეჟიმში განიხილავენ. ვიდრე ოფიციალური სია ცნობილი გახდება, პრესტიჟული მედია საშუალებები, ამა თუ იმ ფილმის, თუ მსახიობის შესახებ ტრადიციულ პროგნოზებს აქვეყნებენ. „ოქროს გლობუსი“ ნომინანტების ნუსხას 3 თებერვალს გამოაცხადებს, დაჯილდოების ცერემონია კი 28 თებერვალს გაიმართება.

სხვადასხვა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, „ოქროს გლობუსზე“ ნომინირებულ მსახიობთა შორის იქნება სტენლი ტუჩი ფილმში Supernova შესრულებული როლისთვის.

GRAMMY-ს დაჯილდოების ცერემონია მარტამდე გადაიდო

კალიფორნიაში COVID-19-ის შემთხვევების მნიშვნელოვანი მატების გამო ცერემონია 31 იანვრის ნაცვლად 14 მარტს ჩატარდება.

„არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე მუსიკალური ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და ასობით ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ვინც დაუღალავად შრომობს ჩვენი შოუს მოსამზადებლად“, – ნათქვამია ორგანიზატორების განცხადებაში. წლევანდელი დაჯილდოების ნომინანტთა სია ჯერ კიდევ ნოემბერში გამოქვეყნდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 იანვარს

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3074; ევრო - 4.0625;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4941;
100 რუბლი - 4.4336; თურქული ლირა - 0.4477;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9469;
1000 სომხური დრამი - 6.3371.

ამინდი 7 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge